გაზეთი ზევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№95 (851) 18 – 19 სექტემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# მხოლოდ 40 თეთრი

## „ნაციონალებისთვისაც უკეთესია, ციხეში ჩასხდნენ, უფალზეც დაფიქრდებიან და ცოდვებსაც მოინანიებენ!"

გვ. 5



რა მიზნით შეიქმნა მოძრაობა „სამოქალაქო სოლიდარობა" და რატომ ითხოვს ბიზნესმენი ბესო ხარძიანი თბილისში ირინა ენუქიძის ძეგლის დადგმას?

## პოლიტპატიმარი თორნიკე გასვიანი ლაურა ლაჭავას „პირიმზის" წილის დაბრუნებას სთხოვს?!

გვ. 3



რა კავშირი აქვს გასვიანის უკანონო პატიმრობასთან კოდუების ოჯახს

## უჩივლებს თუ არა ვანო ჩხარტიშვილი დავით იაკობაშვილს?




გვ. 6

როგორ ჩაიგდო ხელში დავით კეზერაშვილის ბიზნესაქტივები რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენმა და რა კავშირი აქვს ბიძინა ივანიშვილთან?



## „ოკუპანტები მოსახლეობას სასაფლაომდე მისასვლელ მხოლოდ ერთ გზას დაუტოვებენ"

გვ. 3

## და-ბომბი-ლი საქართველო!




გვ. 2

## ომი სირიაში – კითხვის ნიშნის ქვეშ



ობამას მარცხი და რუსეთის დიდ სცენაზე ტრიუმფით დაბრუნება

გვ. 10

## ტრადიციული ბაზრების გარდა, წელს ციტრუსს რუსეთშიც გაიტანენ

გვ. 7

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
კერძო სექტორის დაფინანსებას განაგრძობს

# ნაციონალური მოძრაობა ციხეებში ახალ ვიდეოჩანაწერებს აგროვებდა!

სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა სკანდალური განცხადება გაავრცელა: **„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, როგორ მუშაობენ ჩვენი ოპონენტები მსჯავრდებულებსა და მათი ოჯახის წევრებთან, ასევე ჩვენს მიერ სისტემიდან დათხოვნილ, თუ ჯერ კიდევ მოქმედ ზოგიერთ თანამშრომელთან კომპრომატების მოპოვებისა თუ მათი ხელოვნურად შექმნის მიზნით. მათი მიზანია — მოიპოვონ ან ხელოვნურად შექმნან ვიდეოჩანაწერები, სადაც ასახული იქნება მსჯავრდებულებს შორის კონფლიქტები და არეულობის სცენები, რათა შემდეგ ეს ჩანაწერები გამოიყენონ სისტემის დისკრედიტაციისთვის“.**

მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩხრეკის შედეგად, აღნიშნული მიზნებისთვის გადაღებული ვიდეოჩანაწერებია ამოღებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ უკვე რამდენიმე თვეა, პერმანენტულად ვრცელდება ინფორმაცია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილი ქაოტური ვითარების შესახებ. ოპოზიციაში გადასული ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ „ქურდები“ ციხეებში ისევ გაძლიერდნენ და მეტიც, ცდილობენ, საზოგადოებაში „წესრიგი“ იქიდან დაამყარონ. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამ ინფორმაციას მხოლოდ ნაწილობრივ ადასტურებენ, თუმცა აცხადებენ, რომ საგანგაშო არაფერი ხდება და ახალი ხელისუფლება ვითარებას აკონტროლებს.

17 სექტემბერს, სოზარ სუბარმა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ამოღებული ნივთები ჟურნალისტებს წარუდგინა და განაცხადა, რომ პირველი ოქტომბრიდან დღემდე სასჯელაღსრულების სხვადასხვა დაწესებულებიდან ამოღებულ იქნა ხელნაკეთი დანები, მობილური ტელეფონები, ციხეში დამზადებული ალკოჰოლური სასმელი, ე.წ. ბრაგა, „ტატუს“ გასაკეთებელი კუსტარულად დამზადებული აპარატი, ხელნაკეთი მადუღარები, კუსტარულად დამზადებული ბანქო და ა.შ.

უწყების ხელმძღვანელმა ასევე განასაჯაროა სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში აკრძალული საგნების, თანამშრომლებზე თავდასხმის, მსჯავრდებულთა მიერ ერთმანეთის ჯანმრთელობის დაზიანებისა და სხვისი ნივთების დაზიანების ფაქტზე სულ აღძრულია სისხლის სამართლის 202 საქმე. პერმანენტული ოპერატიულ-სარეჟიმო ღონისძიებების შედეგად, აკრძალული საგნების აღმოჩენისა და შენახვის ფაქტზე აღძრულია 103 საქმე, 20 შემთხვევაში გამოძიება უკვე დასრულებულია და სასამართლო გადაწყვეტილებით, დამდგარია შესაბამისი განაჩენი. ადმინისტრაციაზე თავდასხმა დაუმორჩილებლობის ფაქტზე აღძრულია 26 სისხლის სამართლის საქმე. მინისტრის თქმით, ყველა გამოვლენილ შემთხვევაზე განხორციელებულია ადეკვატური რეაგირება. ამასთან, მისი ინფორმაციით, აღნიშნული დროის მონაკვეთის განმავლობაში აღიძრა 39 საქმე მსჯავრდებულების მიერ ერთმანეთის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე. მსჯავრდებულების მიერ ერთმანეთის ნივთების დაზიანების ფაქტზე კი აღძრულია სისხლის სამართლის 34 საქმე.

*„ვერსიანიუსი“*





**სოზარ სუბარმა ციხეებიდან ამოღებული ნივთები და დანაშაულის სტატისტიკა განასაჯაროა**





# და-ბომბი-ლი საქართველო!




საქართველო უცნაურ რეჟიმში უკვე რამდენიმე დღეა ცხოვრობს — შეტყობინება „ოფისში ბომბია“ — 112-ში ფიქსირდება და იწყება ევაკუაცია „რუსთავი 2“-ზე, „იმედზე“, პარლამენტში, აეროპორტში, „პროკრედიტბანკში“, მერე ისევ „რუსთავი 2“-ში, „იმედში“, პარლამენტში... 17 სექტემბერს უკვე ეს არეალი „მაესტროთი“ გაფართოვდა...

შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველდღიურად ავრცელებს განცხადებებს და კატეგორიულად მოუწოდებს მოქალაქეებს, ცრუ შეტყობინებების გავრცელებისგან თავი შეიკავონ.

**„ცრუ შეტყობინებების ავტორები ოპერატიულად იქნებიან დადგენილნი და კანონის სრული სიმკაცრით დაისჯებიან. ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება სისხლის სამართლის დანაშაულია, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ ცრუ ზარის ავტორი არასრულწლოვანია, პასუხისმგებლობა დანაშაულზე დაეკისრება მის მშობლებს ან მეურვეებს. ამასთანავე, ზიანის ანაზღაურება, რომელიც ცრუ განგაშის შედეგად, ორგანიზაციებს მიადგათ, ზარის არასრულწლოვანი ავტორის მეურვეებს დაეკისრებათ“.**

ცრუ შეტყობინების ავტორთა 80 პროცენტი არასრულწლოვანია. იყო დრო, როცა საზოგადოების ეს კატეგორია მართლაც იყო მსგავსი ტიპის „ხუმრობით“ დაკავებული, თუმცა ძირითადად, ზარი საჯარო თუ კერძო სკოლებში ბომბის არსებობას ეხებოდა — მოტივი, გასაგებიც იყო — მათ სასწავლო პროცესის გადადება სურდათ. ამ შემთხვევაში კი რა მიზანი აქვთ ცრუ შეტყობინებების ავტორებს, გაუგებარია.

სხვათა შორის, იგივე პოზიციას იზიარებს ექსპერტი რამაზ საყვარელიძე, რომელიც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აცხადებს, რომ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, აქვთ თუ არა კავშირი აღნიშნული ბრალდებით დაკავებულ პირებს და „მხოლოდ 112-ზე დარეკვის ფუნქცია ჰქონდათ თუ არა“. პოლიტოლოგის აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, რჩება შთაბეჭდილება, რომ პროცესი მართულია.

**„რა თქმა უნდა, ასეთი შთაბეჭდილება რჩება თუნდაც იმით, რომ მოვლენები ერთმანეთს მიყვა და თან, ისინი, ვინც 112-ზე დარეკა, გეოგრაფიულად დაშორებულები არიან. არიან თუ არა ისინი ერთმანეთთან კავშირში, პოლიცია არ ამბობს და დაკითხვების შედეგებს არ ახმოვანებს. ამის გამო, ხალხში ეს ეჭვი ჩნდება. რა ირკვევა დაკითხვების შედეგად და არიან თუ არა ცრუ შეტყობინების ავტორები ერთმანეთთან დაკავშირებული, სასურველია, გახმოვანდეს ისევე, როგორც ის, რაში მდგომარეობდა მათი როლი — მხოლოდ დარეკვით ამოიწურებოდა, თუ ორგანიზატორებიც იყვნენ“,** — განაცხადა რამაზ საყვარელიძემ და დასძინა, რომ **„თუ დაკავებებმა მომავალი დანაშაულის პრევენცია არ მოახდინა ე.ი. არადამაკმაყოფილებლადაა ძიება ჩატარებული და ა.შ. ასე რომ, ამ შემთხვევაში მოვლენა სავსებით გაუგებარია“.**

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო საკმაოდ ოპერატიულად მუშაობს და დააკავა კიდეც თითქმის ყველა ზარის ავტორი, მათ შორის რამდენიმეს 3-წლიანი პატიმრობაც ემუქრება, ცრუ შეტყობინებების სერია კვლავ გრძელდება. როგორც ჩანს, პრევენციული ზომები არ მუშაობს და ამ დაკავებების ერთადერთი შედეგი, ჯერჯერობით,






მხოლოდ ისაა, რომ ცრუ შეტყობინების ავტორთა მიმართ კანონმდებლობაში ცვლილება შედის და პარლამენტი ცოტა ხანში კენჭს უყრის სასჯელის გამკაცრებას, დაწესდება სამართლებრივი და საჯარიმო სანქციები როგორც სრულწლოვნების, ისე არასრულწლოვნების მიმართ.

პარალელურად, პირველი განცხადება გაავრცელა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა და ცრუ შეტყობინებების გამო, პარლამენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

**„ბოლო ხანებში სამჯერ მოხდა საქართველოს პარლამენტის შენობის დაცლა ასაფეთქებელი მოწყობილობის შესახებ ცრუ სატელეფონო შეტყობინების გამო. ჯამში, პარლამენტის ნორმალური ფუნქციონირება შეწყდა 15 საათის განმავლობაში, რამაც მორალურ-პოლიტიკურთან ერთად პარლამენტს, წინასწარი მონაცემებით, მიაყენა 50 000 ლარამდე ოდენობის ქონებრივი ზიანი. მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს, პარლამენტს მიაწოდოს ცრუ შეტყობინების ავტორთა (არასრულწლოვნების შემთხვევაში, მათი მშობლების) მონაცემები, რათა საქმის სასამართლოში განხილვის პარალელურად, მომზადდეს სამოქალაქო სარჩელი პარლამენტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით“,** — ნათქვამია განცხადებაში. ჯერჯერობით, უცნობია, მოითხოვენ თუ არა მატერიალური ზიანის ანაზღაურებას „რუსთავი 2“, „იმედი“ და სხვა სტრუქტურები, თუმცა ეს პროცესი, სავსებით შესაძლებელია, საკმაოდ მძიმე შედეგების წინაპირობად იქცეს — თუკი დავერწმუნებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ პროცესი მართულია ნაციონალური მოძრაობის მხრიდან, რისთვისაც ისინი არასრულწლოვანებს „ამუშავებენ“, შესაძლებელია, ეს იყოს გამაფრთხილებელი ქმედება დივერსიისა, რომელიც უახლოეს მომავალში იგეგმება... სასურველი იქნება, თუკი ჩატარდება სრულფასოვანი გამოძიება, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი ექსცესები, რომელიც, სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნების წინაპერიოდს უნდა უკავშირდებოდეს.

*„ვერსიანიუსი“*

# პოლიტპატიმარი თორნიკე გასვიანი ლაურა ღაჭავას „პირიმზის“ წილის დაბრუნებას სთხოვს?!

## რა კავშირი აქვს გასვიანის უკანონო პატიმრობასთან კოდუების ოჯახს



ანი დადიანი

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, კოდუების ოჯახს კიდევ ერთი ხმაურიანი პროცესი ელოდება. რამდენიმე დღეში, გენერალურ პროკურატურას პოლიტპატიმარი თორნიკე გასვიანი სარჩელით მიმართავს, სს „პირიმზეს“ წილის დაბრუნების თაობაზე. გავრცელებული ინფორმაციით, სს „პირიმზე“ კოდუების ოჯახის მფლობელობაში იყო და მის მესაკუთრედ ბიზნესმენი ლაურა ღაჭავა სახელდებოდა.

„ვერსიის“ კონფიდენციალური წყარო არ გამორიცხავს, რომ თორნიკე გასვიანის უკანონო პატიმრობაში ხელი, მიხეილ სააკაშვილთან ერთად, კოდუებსაც ერიოთ, რადგან „პირიმზეში“ გასვიანს წილი ზეწოლის შედეგად გააყიდვინეს და არც შესაბამისი ანაზღაურება მიუღიაო. როგორც ჩანს, ციხის სკანდალური კადრების ერთ-ერთი „გმირი“, პრეზიდენტ სააკაშვილის პირადი პატიმარი თორნიკე გასვიანი პროკურატურას სწორედ ამის დამადასტურებელ ფაქტებს წარუდგენს.

ოფიციალური ინფორმაციით, ლაურა ღაჭავა რამდენიმე კომპანიას ფლობდა, მათ შორის იყო შპს „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“. საჯარო რეესტრის მიხედვით, აღნიშნული კომპანია ორ ფირმას – შპს „საჩოგბურთო კლუბ დინამოსა“ (92%) და შპს „ბულიტებს“ (8%) – ეკუთვნოდა და ამ ორივე ფირმის მესაკუთრე ლაურა ღაჭავა გახლდათ.

„კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“ 2010 წლის იანვარში შეიქმნა და იმავდროულად, „ქართუ ბანკიდან“ აღებული სესხის სანაცვლოდ, იპოთეკით დაიტვირთა „საჩოგბურთო კლუბ დინამოს“ 54.81%-იანი წილი „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფში“, თუმცა როგორც „ქართუ ბანკში“ აცხადებენ, მოგვიანებით, ეს ქონება სს „პირიმზეს“ საკუთრებაში გადავიდა, რომლის აქციების საკონტროლო პაკეტს, ასევე ლაურა ღაჭავა ფლობდა. სს „პირიმზე“ „ქართუ ბანკის“ გენერალური მსესხებელია. ღაჭავამ ბანკიდან 7 მილიონი ლარის სესხი აიღო.

სს „პირიმზეს“ საგადასახადო სამსახურის წინაშე ვალი აღმოაჩნდა. დავალიანების ამოღების მიზნით, თბილისის აღსრულების ბიურომ დააყადაღა სს „პირიმზის“ კუთვნილი უძრავი ქონება თბილისის ცენტრალურ უბნებში (მელიქიშვილის 5-ში მდებარე ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი კორპუსი, მელიქიშვილის ქუჩა 10–ში მდებარე პედიატრიის სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი და არაყიშვილის ქუჩა 8–ში განთავსებული კომერციული ფართი, სადაც ახლა მშენებლობა მიმდინარეობს. ასევე, შპს სამკერვალო ფაბრიკა „ლაურა ღაჭავა” და სს „პირიმზის“ ადმინისტრაციული შენობა, ყოფილი ლეჩკომბინატის ახალი კორპუსი ქავთარაძის 16–ში და სხვა).

აღნიშნული ქონების ნაწილი იპოთეკით იყო დატვირთული „ქართუ ბანკის“ სასარგებლოდ. ქონება აღმასრულებელმა აუქციონზე გაყიდა დარიცხული საგადასახადო ვალის სასარგებლოდ. ვალი სახელმწიფომ ამოიღო, ხოლო „ქართუ ბანკის“ კრედიტორი ლაურა ღაჭავას კუთვნილი „პირიმზე“ ქონების გარეშე დარჩა.

ლაურა ღაჭავა, რომელიც „პირიმზეს“ აქციონერი იყო, იქ ჰოლანდიელი პარტნიორის შემოყვანას გეგმავდა, თუმცა მოგვიანებით, ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა, რომ დღეს უკვე სს „პირიმზესთან“ მას აღარაფერი აკავშირებს, რადგან სააქციო საზოგადოების ქონება აუქციონზე გაიყიდა: **„პირიმზეს“ ვალი ჰქონდა და მისი ქონება აუქციონზე გაიყიდა. სახელმწიფომ ამოიღო ეს თანხა და ვინ არის ახლა „პირიმზის“ ქონების მფლობელი, არ ვიცი“.**

„ვერსია“ ინფორმაციის გადასამოწმებლად ვერც დავით კოდუასა და ვერც ლაურა ღაჭავას ვერ დაუკავშირდა. ჩვენი ინფორმაციით, ისინი დუბაიში იმყოფებიან და თბილისში სექტემბრის ბოლოს, იმ დროისთვის დაბრუნდებიან, როცა მათი სასამართლო პროცესია ჩანიშნული. რაც შეეხება თორნიკე გასვიანს, მან „ვერსიასთან“ სატელეფონო საუბარში დაადასტურა, რომ ნამდვილად ფლობდა სს „პირიმზის“ წილის 10 პროცენტს, ხოლო რაც შეეხება კოდუების კავშირს მის დაპატიმრებასთან და ბიზნესის წილის საკითხზე პროკურატურაში სარჩელის შეტანას, ამ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს, ამ საკითხებზე კომენტარისგან კი, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

# დაპირისპირება დიცში — ოკუპანტები მოსახლეობას სასაფლაომდე მისასვლელ მხოლოდ ერთ გზას დაუტოვებენ

„საზღვრისპირა“ სოფელ დიცში ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც რუსმა „მესაზღვრეებმა“ სადემარკაციო სამუშაოები განაახლეს. როგორც დიცის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულმა ზაქარია ვატიტაძემ სააგენტო „პირველს“ განუცხადა, „რუსმა „მესაზღვრემ“ ერთ-ერთ ადგილობრივს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც რუსებმა ადგილობრივები მიმდებარე ტერიტორიიდან გააძევეს. „მესაზღვრეების“ განცხადებით, **„მათ სადემარკაციო სამუშაოების წარმოების დავალება აქვთ მიცემული და ამას ასრულებენ, რაშიც ადგილობრივები ხელს უშლიან“.**

დიცში ე.წ. საზღვრის სადემარკაციო სამუშაოები დაახლოებით თვენახევრის წინ დაიწყო, შემდგომ შეჩერდა და მხოლოდ 17 სექტემბერს განახლდა. საქმე ის არის, რომ ე.წ. სასაზღვრო-სადემარკაციო სამუშაოების შემთხვევაში, არსებობს საფრთხე, რომ 3 საცხოვრებელი სახლი, ასევე სასაფლაოც, ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე აღმოჩნდეს. ხუთი ადგილობრივი მკვიდრი რუსებთან გასაუბრებას შეეცადა, რომ სასაფლაოსკენ მიმავალი გზა არ გადაეღობათ, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. როგორც ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი ილია ბერუაშვილი აცხადებს, ინციდენტების პრევენციის ფორმატში მიმდინარე მოლაპარაკებებში, ოსური ჯგუფის წარმომადგენელმა რობერტ გაზაევმა მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ვითარების განმუხტვას რუსი სამხედროები შეეცადნენ. რობერტ გაზაევი განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა ქართული მედიის წარმომადგენლების მიმართაც. მან ჟურნალისტებს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ „ოსეთის ტერიტორია“ და გადასულიყვნენ საქართველოს ტერიტორიაზე,



წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსური მხარე მიიღებდა ქართული მედიაწარმომადგენლების დაპატიმრების გადაწყვეტილებას.

დიცში ოპერატიულად ჩავიდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი დავით სუჯაშვილი აცხადებს, საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენლებს რუსმა ოკუპანტებმა განუცხადეს, რომ მათ დავალება აქვთ მიღებული და ამიტომ მავთულხლართების გაბმის სამუშაოებს მაინც გააგრძელებენ.

**„შეხვედრაზე საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დიცის მოსახლეობას სასაფლაომდე მისასვლელ ერთ გზას დაუტოვებენ. როგორც მოგეხსენებათ, ამ მავთულხლართების გაბმის გამო, ადგილობრივებს სასაფლაოებზე მისვლა უჭირთ, რადგან სწორედ მავთულხლართებს მიღმაა დარჩენილი ბევრი საფლავი“,** — განაცხადა სუჯაშვილმა და ასევე დაადასტურა დიცში ოკუპანტების მიერ და ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი. სუჯაშვილის თქმით, შს სამინისტროს წარმომადგენლები ადგილზე რჩებიან და მოლაპარაკებებს განაგრძობენ.

**„ადგილზე არსებული დაძაბული ვითარება დარეგულირებისკენ მიდის“,** — აღნიშნა სუჯაშვილმა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია სოფელ დიცში არსებულ ვითარებაზე განცხადებას ავრცელებს და მოუწოდებს ყველა მხარეს, გამოიჩინონ თავშეკავება და გაითვალისწინონ დიცში მცხოვრებთა შეშფოთება.

**„დღეს, შუადღით, სოფელ დიცის სიახლოვეს მცხოვრებმა ადგილობრივებმა შეშფოთება გამოხატეს სამხრეთ ოსეთთან, ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ღობეების აღმართვის განახლების თაობაზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მთელი დღის განმავლობაში ადგილზე იმყოფებოდა. მისია მოუწოდებს ყველა მხარეს, გამოიჩინონ თავშეკავება და გაითვალისწინონ ადგილობრივთა შეშფოთება“,** — ნათქვამია EUMM-ის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში. აქვე აღნიშნულია, რომ ცხელი ხაზის მეშვეობით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მაშინვე მოაწყო ტექნიკური ჯგუფისა და ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთა შეხვედრა.

**„2013 წლის მაისიდან დიცის მკვიდრნი არაერთხელ ჩივიან ღობეების აღმართვისა და მის შედეგებზე, რომელიც ზღუდავს მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებას და საყოფაცხოვრებო პირობებს, როგორიც ნაკვეთებსა და წყალზე წვდომაა“.** მისია რეგიონში შექმნილ ვითარებაზე მონიტორინგს გააგრძელებს.

# Le Point: „ბიძინა ივანიშვილი ამოუცნობი ადამიანია“




**საქართველო რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებს ანახლებს, — ამ სათაურით აქვეყნებს ფრანგული გამოცემა Le Point ექსკლუზიურ ინტერვიუს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან, რომელსაც სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს.**

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, 57 წლის ბიძინა ივანიშვილი, რომელიც 2012 წლის მონაცემებით, მსოფლიოში რიგით 153-ე მილიარდერია, ამოუცნობი ადამიანია.

**„მას საფრანგეთის პასპორტი აქვს და კარგად ფლობს მოლიერის ენასაც, თუმცა არ საუბრობს ფრანგულად. მანვე ინტერვიუს ჩაწერის სურვილი ქართულად გამოთქვა, რომელიც შემდეგ მისმა თანაშემწემ ინგლისურად გვითარგმნა“,** — აღნიშნავს სტატიის ავტორი და დასძენს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ინტერვიუ ურეკში შედგა, სადაც მასპინძელი ჯინსებსა და სპორტულ მაისურში გამოწყობილი შეხვდა ჟურნალისტებს, მის უდიდეს მამულში კი, ტბასთან ახლოს, ფლამინგოები დასეირნობდნენ.

ფრანგულ გამოცემასთან ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ისაუბრა. როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რუსეთთან ურთიერთობები თანდათანობით ლაგდება. ამის დასტურია ის, რომ გაუქმდა ქართული მინერალური წყლებისა და ღვინის ემბარგო რუსულ ბაზარზე. მისივე თქმით, გაორმაგდა საქართველოში შემოსულ რუს ტურისტთა რიცხვიც.

**„საქართველო პატარა და ღარიბი ქვეყანაა. ჩვენი პრიორიტეტები, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემასთან ერთად, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროა. 2006 წელს რუსეთმა ჩვენი ქვეყნიდან ღვინისა და მინერალური წყლის ექსპორტი დაბლოკა, თუმცა წელს ეს აკრძალვა გააუქმეს და „ბორჯომი“ და ქართული ღვინის 90 სახეობა რუსულ ბაზარზე დააბრუნეს. გარდა ამისა, წელსვე გაორმაგდა რუსეთიდან საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობა. 2013 წლის პირველ კვარტალში მათმა რიცხვმა 260 ათასი შეადგინა“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ფრანგულ Le Point-თან საუბრისას.

რაც შეეხება რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ფრანგულ გამოცემასთან საუბრისას აღნიშნა, მართალია, რუსეთს კვლავაც ოკუპირებული აქვს აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, თუმცა საქართველო ამ პრობლემის ომის გზით მოგვარებას არ გეგმავს.

**„საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელსაც აქვს რეგიონული ამბიციები, როგორც ამას ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ირწმუნება. რაც შეეხება აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“, იქაური მოსახლეობა ჩვენი ძმები არიან და საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების სურვილი მაშინ გაუჩნდებათ, როდესაც ჩვენი ქვეყანა მეტად მიმზიდველი და აყვავებული გახდება“,** — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ფრანგულ გამოცემასთან ექსკლუზიური ინტერვიუს დროს აღნიშნა, მიუხედავად მოსკოვთან ურთიერთობების დალაგებისა, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, რომელიც 2008 წლიდანაა შეწყვეტილი, არც ისე მარტივი იქნება.

**„მოსკოვთან დაახლოებას კვლავაც ბევრი დრო და მუშაობა სჭირდება. ამ ურთიერთობის, საბოლოოდ, დალაგებას კიდევ დაახლოებით 5-7 წელი დასჭირდება. თვითონ ვმუშაობდი რამდენიმე წლის განმავლობაში და ვერ ვიტყვი, რომ რუსებს კარგად ვიცნობ“,** — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



## სტუდენტური თვითმმართველობები, შესაძლოა, აღარ დაფინანსდეს

სტუდენტური თვითმმართველობები, შესაძლოა, აღარ დაფინანსდეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ სტუდენტებთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა. ლადო პაპავას შეხვედრა თსუ-ს სტუდენტების ნაწილთან, დაახლოებით, 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. უნივერსიტეტის რექტორი სტუდენტებისგან მათი პრობლემების შესახებ მოსაზრებებს ისმენდა, რის შედეგადაც, სტუდენტების კითხვებს უპასუხა.

ლადო პაპავა სტუდენტებს ადმინისტრაციის მხრიდან უყურადღებობის დაფიქსირების შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას დაპირდა და, ზაობა გამოთქვა, ხელი შეუწყოს ფაკულტეტების ავტონომიურობის გაზრდას. თსუ-ს რექტორის განცხადებით, მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია სასწავლო მასალისა და ლიტერატურის არსებობა და ბიბლიოთეკების მოწესრიგება.

როგორც ლადო პაპავამ აღნიშნა, აუცილებელია ფაკულტეტებზე სამეცნიერო წრეების არსებობა და სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში. მისივე თქმით, იგი პროექტორებისა და ქსეროქსის აპარატების ნაკლებობის პრობლემასაც გაითვალისწინებს.

შეხვედრაზე სტუდენტების ნაწილმა სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობაც გააკრიტიკა. ლადო პაპავამ აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა, უშუალოდ ფინანსებს, კონკრეტული პროგრამისა და შეთავაზების გარეშე ვერ მიიღებს. განათლების სამინისტრო მუშაობს ახალ კანონზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ, სადაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნული თემაც იქნება ჩადებული:

**„თვითმმართველობასთან დაკავშირებით ჩვენ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება, ის მწირი რესურსები, რაც უნივერსიტეტს აქვს გამოყოფილი, იქნება ნებისმიერი სტუდენტური პროექტისთვის. თუ თვითმმართველობა კარგ სტუდენტურ პროექტს შეარჩევს, თვითმმართველობა დაფინანსებას მიიღებს. ხოლო თუ სტუდენტთა სხვა ჯგუფი პროექტს შეარჩევს, ის მიიღებს დაფინანსებას. ფინანსური თვალსაზრისით, აპრიორი, პრიორიტეტები არავის მიეცემა“.**

მისივე თქმით, კანონმა, ზოგადად, უნდა განსაზღვროს სტუდენტური ორგანიზაციების არსებობა და მათი როლი უნივერსიტეტში **„და არა რომელიღაც ერთი ორგანო, თუნდაც მას ერქვას სტუდენტური თვითმმართველობა“.**

თავად სტუდენტები უნივერსიტეტის რექტორთან შეხვედრას დადებითად აფასებენ. მათ მადლობა გადაუხადეს ლადო პაპავას შეხვედრისთვის და აღნიშნეს, რომ მისი წინამორბედი, ალექსანდრე კვიტაშვილი ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სტუდენტებს არ ხვდებოდა და მათ მტრებს ეძახდა.

თავის მხრივ, შეხვედრის დასრულების შემდეგ, ლადო პაპავამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ არის საკითხები, რომელიც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს, ხოლო გარკვეული საკითხების მოგვარებას დრო სჭირდება.

**„წინადადებები, რომლებიც სახელმძღვანელოების მომზადებასთან, დაწერასთან და თარგმნასთან არის დაკავშირებული, ხანგრძლივ დროსთან არის დაკავშირებული. ამისთვის ფული გამოყოფილია, ფაკულტეტების ხელმძღვანელებს გაცნობიერებული აქვთ ამოცანა, დავალება მიღებული აქვთ, მაგრამ ამას გარკვეული დრო სჭირდება“,** — განაცხადა ლადო პაპავამ და აღნიშნა, რომ სტუდენტებთან შეხვედრები ყოველ ორ თვეში ერთხელ გაიმართება, აუცილებლობისა და საჭიროების შემთხვევაში კი, იგი სტუდენტებს თვეში ერთხელაც შეხვდება.

***„ინტერპრესნიუსი“***

# „საქართველოში წამყვანი ფიგურა, შესაძლოა, არც მარგველაშვილი იყოს, არც პრემიერი და გახდეს დავით უსუფაშვილი!“



## რა შემთხვევაში გავა „ოცნება“ კონსტიტუციის ჩარჩოებიდან და როგორ არეგულირებს კანონი ახალი პრეზიდენტისა და პრემიერის ურთიერთობებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**რა იქნება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, ვის დატოვებას აპირებს მოქმედი პრემიერი თავის პოსტზე, ვის რჩება ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ რეალური ძალაუფლება — პრემიერს, პრეზიდენტს თუ სულაც, პარლამენტის თავმჯდომარეს, როგორ არეგულირებს ახალი კონსტიტუცია პრემიერ-პრეზიდენტის ურთიერთობას... ეს ის კითხვებია, რასაც დაბნეული ამომრჩეველი ყველაზე ხშირად სვამს და, როგორც წესი, კომპეტენტურ პასუხებსაც ვერ იღებს. ყველა ეს კითხვა კონსტიტუციონალისტ ავთანდილ დემეტრაშვილს დავუსვით, რომელიც „ვერსიისთვის“ საინტერესო ანალიზს აკეთებს:**

**— ხალხი დღეს ერთადერთ პოლიტიკური კითხვას სვამს: რა იქნება ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ და რას ნიშნავს მისი ფრაზა — კარგ პრემიერს დაგიტოვებთ. კონსტიტუციურად, ახალი პრემიერის „დატოვების“ პროცედურა როგორ რეგულირდება?**

— კონსტიტუციის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილი მომავალ მემკვიდრეს თავად ვერ დაასახელებს. მას შემდეგ, რაც ახალი პრეზიდენტი, სავარაუდოდ, გიორგი მარგველაშვილი, ფიცს დადებს, ივანიშვილი უფლებამოსილებას მოიხსნის და მთავრობაც გადადგება. ამის შემდეგ, წინა არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური სუბიექტი, ასეთი კი კოალიცია ქართული ოცნებაა, პრეზიდენტს ეუბნება, პრემიერ-მინისტრად ესა და ეს დაასახელეო. დიახ, ხალხი სწორად ფიქრობს — ამ დროს, კოალიციის ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილი იქნება. სწორედ ივანიშვილი სთხოვს მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრად კონკრეტული პიროვნების დასახელებას, თუმცა ამ პიროვნების ვინაობა მხოლოდ ბიძინას კი არა, კოალიციაში შემავალი მინიმუმ 4 პარტიის გადასაწყვეტია. თანაც საუბარი იმაზე, როდის წავა და მოვა ივანიშვილი, სრულიად ზედმეტია — კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან პრემიერი უნდა გადადგეს! თუ ივანიშვილი ფიქრობს, გადავდგები, მერე ისევ პრემიერად ამირჩევენ, რაღაც დროის მერე კი მეორედ გადავდგებიო, ეს არარაციონალური მიდგომაა.

**— მარტივად აგვიხსენით, არჩევნების შემდეგ, ქვეყნის პირველი პირი ვინ არის — პრეზიდენტი თუ პრემიერი და რა უფლებები რჩება ახალ პრეზიდენტს?**

— ვინ იქნება რეალური პირველი პირი ქვეყანაში, ამას სხვადასხვა პოლიტიკური კონფიგურაცია გადაწყვეტს. კონსტიტუციით, პრეზიდენტი ხელისუფლების წყარო და წამყვანი ფიგურა აღარ არის. მოკლედ, პრეზიდენტი რჩება არბიტრად მშვიდობიან პერიოდში, კრიზისის დროს კი ის კვლავ ერთმმართველი, ასე ვთქვათ, დიქტატორი ხდება. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტი ეროვნული დამოუკიდებლობისა და მთლიანობის გარანტი და სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ინსტიტუტია. სხვა თემაა, რა უფლებამოსილებები გააჩნია მას რეალურად: მაგალითად, პრეზიდენტს აღარ შეუძლია მინისტრების გადაყენება, ვერ დაითხოვს მთავრობას, მაგრამ თუ მთავრობის პოლიტიკა არ მოეწონა, შეუძლია პრემიერს მთავრობის სხდომის მოწვევა მოსთხოვოს, სადაც მისი და უშიშროების საბჭოს წევრების თანდასწრებით იმ საკითხს განიხილავს, რომელიც არ მოსწონს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი პრემიერსა და მთავრობას ხალხის სახელით დაელაპარაკება და ასე მოახდენს ზეგავლენას მთავრობის გადაწყვეტილებებზე.

**— და თქვენ გჯერათ ამის — რა გარანტია აქვს ხალხის სახელით მოლაპარაკე პრეზიდენტს, რომ იგნორირებული არ დარჩება?**

— რა თქმა უნდა, შესაძლოა, მთავრობამ პრეზიდენტის შეხედულება არც გაიზიაროს. მაშინ პრეზიდენტს შეუძლია საერთო სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს. კარგი, ვთქვათ, პრეზიდენტის სარჩელი არც ერთმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, მაშინ იგი მიმართავს ხალხს — აცნობებს, რომ მისი პოზიცია ასეთია და მთავრობა არ უსმენს. ამით, ჯერ ერთი, პოლიტიკურ ქულებს იწერს, მეორეც — მთავრობას აიძულებს, მომავალში კარგად დაფიქრდეს, ვიდრე მის წინააღმდეგ წავა. გარდა ამისა, პრეზიდენტს შეუძლია, პარლამენტსაც მიმართოს. ავიღოთ საკანონმდებლო სფერო — პრეზიდენტს საკანონმდებლო ინიციატივების წამოყენების უფლება არ აქვს, მაგრამ აქვს ვეტოს უფლება. იმის მიუხედავად, რომ პარლამენტს ვეტოს დაძლევა შეუძლია, ახალი პრეზიდენტი ამ ვეტოს მიშაზე უკეთ გამოიყენებს. მიშა ვერ ხსნის, რატომ ადებს ყველაფერს ვეტოს, იგი, უბრალოდ, პოლიტიკურ ჭიდაობაშია ჩაბმული. თუმცა იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტი საკანონმდებლო ინიციატივას პირადად ვერ დააყენებს, მას ხომ თავისი მომხრეები ჰყავს პარლამენტში, ვინც ინიციატორი მისი სახელით იქნება?! თუ ესეც არ გამოვა, პრეზიდენტს შეუძლია, რეფერენდუმის წესი გამოიყენოს, რაშიც მხარს ან ამომრჩეველი დაუჭერს ან მომხრე დეპუტატები.

**— აქ ერთი უხერხულობაა — როცა პარლამენტიც, მთავრობაცა და პრემიერიც „ოცნებისაა“, პოლიტიკური ბალანსის ეს პროცესი როგორ წარმოგიდგენიათ?**

— კონსტიტუციით, ახლა ასეა: პოლიტიკას განსაზღვრავს პარლამენტი, ახორციელებს მთავრობა, სასამართლო სოციალურ დავებს განიხილავს, პრეზიდენტი კი ამ ორგანოთა საქმიანობას განიხილავს. ახლა წარმოვიდგინოთ სიტუაცია: მარგველაშვილია პრეზიდენტი, პრემიერი კი — არმაზ ახვლედიანი, ვინ იქნება პირველი პირი და რომელი გაუძღვება ამ ორიდან სახელმწიფოს? არავინ დაიჯეროს, რომ ივანიშვილი ქვეყანას გარედან ან სამოქალაქო სექტორიდან მართავს: მას გავლენა მხოლოდ თავის ხალხზე შეუძლია ჰქონდეს, ისიც სათუოა, ექნება თუ არ გარკვეული დროის მერე გავლენა „რესპუბლიკელებზე“, „თავისუფალ დემოკრატებზე“... მარგველაშვილი თუ იქნება პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, ის ჩვენს მიერ ჩამოთვლილ ბერკეტებს არც კი გამოიყენებს — საპარლამენტო უმრავლესობაცა და მთავრობაც მისია! ამიტომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი. ვთქვათ, ამ პოსტზე კახა კალაძე დასახელდა. მაშინ მისი გამოუცდელობის, სპეციალური განათლების უქონლობის გამო იგი აუცილებლად სუსტი პრემიერი იქნება.

**— ყველაფერი ამ სცენარით თუ წავიდა, ქვეყანაში ყველაზე ძლიერი ფიგურა პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი გამოდის?**

— დიახ, ამ საქართველოში წამყვანი ფიგურა, შესაძლოა, არც მარგველაშვილი იყოს, არც პრემიერი და გახდეს დავით უსუფაშვილი! ანუ მივედით იქამდე, რომ პირველპირობას ქვეყანაში პოლიტიკური კონფიგურაცია და კონკრეტული პერსონები განაპირობებენ. ეს იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი მარგველაშვილი გახდება. ახლა წარმოვიდგინოთ სიტუაცია, რომ პრეზიდენტად ნინო ბურჯანაძე ან დავით ბაქრაძე აირჩიეს — მაშინ გადავდივართ რეალური თანაცხოვრების პირობებში. ვთქვათ, მართლა ნინო გახდა პრეზიდენტი, აიღეთ მისი პიროვნული თვისებები, ხასიათი, ცხოვრებისეული გამოცდილება და თავად დახატეთ სიტუაცია — არ არის გამორიცხული, ამ კოაბიტაციაში წამყვან ფიგურად იგი მოგვევლინოს.

**— ნინო ბურჯანაძე რომ გამოკვეთილად გმობს ყველანაირ კოაბიტაციას?**

— მას დღევანდელი კოაბიტაცია არ უნდა, თორემ პრეზიდენტად თუ მოვა, მოუწევს პოლიტიკური თანაცხოვრება, აბა, რას იზამს!

**— კოაბიტაციის დასრულებას დღეს ბევრი პოლიტიკური ძალა ითხოვს — უნდა გავიგოთ თუ არა ზოგიერთის აგრესიული გამონათქვამები, როგორც კონსტიტუციური ჩარჩოდან გასვლა და მოწოდება სამოქალაქო დაპირისპირებისკენ?**

— კოაბიტაცია მთავრდებაო, ამას გიორგი მარგველაშვილი, ალბათ, იმ გაგებით ამბობს, მთელ სახელმწიფო ვერტიკალს მხოლოდ „ოცნების“ ხალხი დავიკავებთო. მართლაც, ასეთ სიტუაციას, ტექნიკურად, კოაბიტაცია ველარც დაერქმევა. ეს გახდება ერთიანი სახელმწიფო მმართველობა, რომლის ყველა საფეხურზე „ოცნების“ წარმომადგენლები იქნებიან.

**— მაგრამ ბევრისთვის კოაბიტაციის დასრულება ნაციონალების ყველანაირი მეთოდით დასჯას გულისხმობს — ეს სახიფათო პროცესის დასაწყისად არ მიგაჩნიათ?**

— დაჭერებს კოაბიტაციასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში, წესით, არ უნდა ჰქონდეს. თუ ადამიანი დამნაშავეა, მის დასჯა-არდასჯას კოაბიტაციასთან რა შეხება აქვს — ახლა „ოცნებას“ ვინმეს დაჭერა უნდა და კოაბიტაციის გამო არ იჭერს?! გარდა ამისა, არა მგონია, 27 სექტემბრის მერე დაჭერების ახალი ტალღა დაიწყოს, უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება. დღევანდელი აგრესიული მოწოდებები, უბრალოდ, პოლიტიკური შანტაჟის მეთოდია ნაციონალებზე — ხმა არ ამოიღო, თორემ დაგიჭერო! ეს არის სიგნალები ნაციონალური მოძრაობისა და პრეზიდენტის გასაგონად. პრეზიდენტს დღეს მთავრობის გადაყენება, ძალოვანი მინისტრების დათხოვნა შეუძლია, მაგრამ ამას შიშით ვერ აკეთებს. ჯერ ერთი, შეიძლება დაჭერები მართლა წავიდეს. მერე მეორე, როგორც ივანიშვილი ამბობს, გრიფით საიდუმლო ყველა საქმეში კრიმინალია — ეს კი პირდაპირი ზეწოლაა სააკაშვილზე, ჩუმად იყავი, თორემ ამ საქმეებს გრიფს მოვხსნიო! გრიფის მოხსნა, კანონით, პრეზიდენტის პრეროგატივაა, ასე რომ, ჩვენ არ ვიცით, რას გააკეთებს გიორგი მარგველაშვილი მას მერე, რაც პრეზიდენტი გახდება!

# „ნაციონალებისთვისაც უკეთესია, ციხეში ჩასხდნენ, უფალზეც დაფიქრდებიან და ცოდვებსაც მოინანიებენ!“

## რა მიზნით შეიქმნა მოძრაობა „სამოქალაქო სოლიდარობა“ და რატომ ითხოვს ბიზნესმენი ბესო ხარძიანი თბილისში ირინა ენუქიძის ძეგლის დადგმას?



რუსუდან შელია
557-100-768

**16 სექტემბერს, 14:00 საათიდან 17:00 საათამდე, ახალი სამოქალაქო მოძრაობის დამფუძნებლებმა — მამუკა არეშიძემ, ირაკლი კაკაბაძემ, გიორგი კორკოტაშვილმა და სხვა საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილმა სახეებმა, „არა კოაბიტაციას!“ ლოზუნგით მოქალაქეების მიღება გამოაცხადეს.**

„ვერსია“ სასტუმრო „საქართველოს“ მეორე სართულზე, დიდ დარბაზს ეწვია, სადაც მოქალაქეებთან სამსაათიანი შეხვედრა დაინიშნა. დარბაზში შესვლამდე, კართან, პოლიტპატიმარი გიორგი გაბედავა შევნიშნეთ.

— აქ როგორც რიგითი მოქალაქე ხართ მოსული, თუ ორგანიზაციის დაფუძნებაში წვლილი თქვენც მიგიძღვით? — ვეკითხები გიორგი გაბედავას, რომელმაც პასუხისგან ჯერ თავი შეიკავა, შემდეგ კი მხრების აჩეჩვით მიპასუხა: — სახელთან და გვართან არასოდეს დავდივარ, პირიქით, ყველგან მივალ, სადაც სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლა დაიწყება. დიახ, კოაბიტაციის დასასრულებლად, სწორედ ბრძოლაა აუცილებელი!

— რას ნიშნავს თქვენთვის კოაბიტაციის დასრულება და რა ტიპის ბრძოლისთვის ხართ მზად, იმაზე თუ ფიქრობთ, რომ მსგავსი დამოკიდებულებით, შესაძლოა, ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდეც კი მივიდეს?

— მარაზმია, როცა ძველ პროკურორებს, რომლებმაც ადამიანები უდანაშაულოდ დააკავეს, დღეს მაღალ თანამდებობებზე აწინაურებენ. ნაციონალების მიერ სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ადამიანების აღდგენაზეც არავინ ზრუნავს. ეს ყველაფერი უნდა დამთავრდეს! ამიტომ ნაციონალები ციხეში უნდა წავიდნენ. სამოქალაქო დაპირისპირების კი, საქართველოში არავის შეშინებია.

— ანუ დაპირისპირებისთვის მზად ხართ და ამ გზაზე შეგნებულად მიდიხართ? — შევატყვე, რომ კითხვა არ მოეწონა, გვერდით მდგომ მამაკაცს გადახედა და მცირე პაუზის შემდეგ ცივად მიპასუხა: — ნაციონალებისთვისაც უკეთესია, ციხეში ჩასხდნენ, უფალზეც დაფიქრდებიან და ცოდვებსაც მოინანიებენ.

ამ დროს კიბეზე სწრაფი ნაბიჯებით ამოვიდა ლაშა ამირეჯიბი, თუმცა როცა მოსვლის მიზეზი ვკითხეთ, გვიპასუხა: — ხუთი წუთით შემოვირბინე, სტუმარი ვარ, დამფუძნებელი კი არაო.

გიორგი გაბედავასთან მდგომმა მამაკაცმა ხმამაღლა იკითხა, როდის აქეთ ხარ ჩვენთან სტუმარიო, რის შემდეგაც ლაშა ამირეჯიბი სწრაფად, მაგრამ დაბნეული ნაბიჯებით მას მიუახლოვდა და ისე ჩუმად დაუწყო ლაპარაკი, რომ მისი მოსმენა თანამოსაუბრესაც უჭირდა. ამასობაში დარბაზში შევედი, სადაც მწკრივად ჩალაგებული სავარძლების თავში მამუკა არეშიძე იჯდა და წინ მსხდომ მომჩივან მოქალაქეს საკმაოდ მშვიდად უსმენდა. პრესსამსახურის ხელმძღვანელმა დარბაზში შესვლისთანავე საინფორმაციო ფლაერი მომაწოდა — ჩვენ ორგანიზაციის მიზნების შესახებ დაწვრილებით აქ შეიტყობო. ფლაერში კი ეწერა:

**პირველი ოქტომბრის არჩევნებმა ცხადყო, რომ ქართველ ხალხს ბრძოლისა და გამარჯვების რესურსი აქვს. „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, საქართველოს მოსახლეობის უზარმაზარი ძალისხმევით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა შეძლო. გააჩინა მთავარი — იმედი, რომელიც, სამწუხაროდ, თვალსა და ხელს შუა გვეცლება. შემართული ერის იმედგაცრუება კი საზოგადოების დაქსაქსულობასა და სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის სტაგნაციას იწვევს. ჩვენი ორგანიზაცია „სამოქალაქო სოლიდარობა“ იმისთვის იქმნება, რომ ერს იმედის განცდა აღუდგინოს და მისი უფლებებისა და ღირსების აღსადგენად, საზოგადოების კონსოლიდაცია განახორციელოს. ჩვენი ამოცანებია, საზოგადოების გაერთიანება პოლიტიკური უკულტურობისა და „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ თავნებობის წინააღმდეგ...“**

— ზურგით რატომ ზიხარ, მოტრიალდი! — ხმამაღლა უსაყვედურა მამუკა არეშიძემ გვერდით მჯდომ ქალბატონს, რომელმაც სიგარეტს მოუკიდა და მაღლა, სივრცეში დაიწყო ყურება. როგორც შემდეგ გავარკვიე, ამ თავშალიან ქალბატონს დიდ დარბაზში მოსული მომჩივანი მოქალაქეების პრობლემების აღწერა ევალებოდა. თანაშემწისთვის გამოცხადებული საყვედურის შემდეგ არეშიძემ რიგში მსხდომ მოქალაქეებს მიმართა: — შემდეგი რომელია, თქვენ რა გნებავთ, მობრძანდითო!

შავებში ჩაცმულმა ქალბატონმა ცარიელ სავარძლებში გზა ფრთხილად გამოიკვლია და მამუკა არეშიძის წინ, მორიდებულად, ჩუმად იჯდა მანამ, სანამ ექსპერტმა კითხვა არ გაუმეორა: გისმენთ, რა გნებავთო.

ქალბატონმა საუბარი ჩურჩულით დაიწყო:

— ბინა წამართვეს... სახლი არ გამიყიდია, არც ბანკში ჩამიდია, უბრალოდ, შუამავალი ვიყავი...

შავებში ჩაცმულ ქალბატონს დარბაზში მყოფი მეორე ქალბატონი ხმამაღლა გამოეპასუხა, შემდეგ მამუკა არეშიძეს მოუახლოვდა და დაზარალებულთა ასოციაციის წევრად გააცნო თავი.

— მე ლალი მელაძე ვარ. საკმაოდ მძიმე პრობლემით მოვედი თქვენთან, 2008 წლის ომის შემდეგ ბანკმა ბინა წამართვა. დიდი ხანია, ამ პრობლემის მოგვარებას ვითხოვ, თუმცა პოლიტიკური სივრცე ვერ გავარღვიეთ. ხელისუფლების ჩარევის გარეშე ამ პრობლემის მოგვარება, უბრალოდ, შეუძლებელია. ოთხშაბათს, ქუთაისში, ვაპირებთ აქციის გამართვას, იქნებ თქვენც დაგვიჭიროთ მხარი და წამობრძანდეთ.

— რამდენი ადამიანი შეიკრიბებით? — ჩვეული სიმშვიდით ჰკითხა ექსპერტმა ქალბატონ ლალის.

— ათნი ვართ, ბათუმიდანაც შემოგვიერთდებიან, მაგრამ მინიმუმ ხუთი ათასი ადამიანი თუ არ შევიკრიბებით, პარლამენტზე ზეწოლას ვერ მოვახდენთ.

**— რასაკვირველია, იპოთეკარების თემაზე ხელისუფლების პრესინგს დავიწყებთ, მაგრამ შენ უნდა მითხრა, როგორ წარმოგიდგენია ამ პრობლემის გადაჭრა. ჩვენს განცხადებაში ხომ წერია, მხოლოდ ინიციატივიანი ადამიანები უნდა მოვიდნენო. მითხარი, მე რა გავაკეთო ნწ.. ნწ.. ვიძახო? ბიზნესმენებისთვის ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით კონცეფცია უკვე შემუშავებული გვაქვს, იპოთეკარების პრობლემის მოგვარებაზე კი უნდა ჩამოვყალიბდეთ...**

— თქვა და შემდეგ მცირე ხანს ჩაფიქრდა. პაუზის შემდეგ ისევ ქალბატონს დაუბრუნდა — ისე, შენ ბანკიდან ფულს რომ იღებდი, რისკები რატომ არ გათვალე? — ქალბატონი ლალი ამ კითხვას, როგორც ჩანს, არ ელოდა, ამიტომ გაჩუმდა და მის ნაცვლად, საუბარი გვერდით მჯდომმა, ასევე იპოთეკით დაზარალებულმა მამაკაცმა განაგრძო.

*დასასრული მე-8 გვერდზე*



### მიხეილ სააკაშვილი ვანო მერაბიშვილის მშობლებს სტუმრობდა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მშობლებს ახალციხეში ესტუმრა და იქ, დაახლოებით, ნახევარი საათი დაჰყო. პრეზიდენტის სტუმრობის მიზეზი, სავარაუდოდ, პატიმრობაში მყოფი მერაბიშვილის მშობლების მონახულება და მის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე მათი ინფორმირება იყო.

პრეზიდენტი ახალციხეში ახალქალაქიდან ჩავიდა, სადაც რამდენიმე სკოლას ესტუმრა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სკოლის მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა.

პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტპორტალი „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

*„ინტერპრესნიუსი“*



### დავით ჯალაღანია: „ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონობა გრძელდება“

**„მორიგი უკანონო ქმედება საქართველოს ტერიტორიაზე და ანტიჰუმანური გადაწყვეტილება“,** — ასე აფასებს საგარეო საქმეთა სამინისტრო ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დაწესებულ უკანონო შეზღუდვებს, რომლის მიხედვითაც, 18 სექტემბრიდან ძალაში, ე.წ დე ფაქტო საზღვრებზე, ახალი რეგულაციები შედის.

რეგულაციების მიხედვით, ახალგორში, სინაგურსა და პერევში, ქართული წარმოების პროდუქტის, ასევე ქართული სანომრე ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება შეიზღუდება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, დავით ჯალაღანიას განცხადებით, საგარეო უწყებამ უკვე მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია საერთაშორისო თანამეგობრობას და ამ საკითხზე მსჯელობა ჟენევის მორიგ რაუნდზე შედგება, რომელიც 5-6 ნოემბერს გაიმართება.

**„რა თქმა უნდა, ესაა კიდევ ერთი უკანონობის გაგრძელება, რომელსაც ამ ოკუპაციასთან მუდმივად აქვს კავშირი და ეს მორიგი, მძიმე გადაწყვეტილებაა, თუ ის განხორციელდება. ჟენევის ფორმატის თანათავმჯდომარეების მხრიდან ეს საკითხი უკვე გაჟღერდა და, შესაბამისად, მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე, 5-6 ნოემბერს, ჟენევაშიც აუცილებლად განიხილება.**

**ვიმედოვნებთ, აღნიშნული უკანონობა არ განხორციელდება და თუ ეს მაინც მოხდა, საკითხი ჟენევაში, დღის წესრიგში აუცილებლად იქნება დასმული“,** — განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

*„ინტერპრესნიუსი“*

# უჩივლებს თუ არა ვანო ჩხარტიშვილი დავით იაკობაშვილს?




მაია მიშელაძე
593-51-90-12

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ახალ კვლევას აქვეყნებს, რომელიც თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილისა და რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენის, დავით იაკობაშვილის ბიზნესინტერესებს ეხება. ფაქტია, რომ კეზერაშვილის აქტივებს მთლიანად იაკობაშვილი ფლობს, რომელმაც თავდაცვის ექსმინისტრი ჩაანაცვლა. ირკვევა, რომ 2011 წლიდან, დავით იაკობაშვილი რამდენიმე ენერგეტიკულ კომპანიაში დავით კეზერაშვილის ბიზნესპარტნიორი იყო. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიებს ოფშორული ჰოლდინგები ფლობს, იაკობაშვილის ცნობადობა კი ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ დაბალია, მისი კავშირები მხოლოდ მთავრობის ცვლილების შემდეგ გახდა საჯარო. კეზერაშვილს ბიზნესაქტივებს შორის, გამორჩეულია ნავთობკომპანია „გალფი“, რომელიც ბაზარზე სამი კომპანიის — „სენტას“, მაგნატისა“ და „ეკოს“ ჩაძირვის შედეგად შემოვიდა. „ვერსიაში“ დეტალურად ვწერდით, როგორც „გალფის“ შექმნის, ასევე კეზერაშვილის ბიზნესინტერესების შესახებ. იმასაც ვწერდით, რომ კეზერაშვილი ნაციონალური მოძრაობის მთავარი მოლარე იყო, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სხვადასხვა ბიზნესმენები საკუთარ წილს კეზერაშვილის სასარგებლოდ იმიტომ თმობდნენ, რომ ეს უკანასკნელი დედაპარტიის სალაროს ავსებდა. ერთ-ერთი ვერსიით, „გალფის“ სასარგებლოდ, ვანო ჩხარტიშვილმაც დათმო საკუთარი წილი „სოკარში“. საინტერესოა, მოითხოვს თუ არა ჩხარტიშვილი წილის დაბრუნებას იაკობაშვილისგან?**

## კეზერაშვილის ბიზნესინტერესები

დავით კეზერაშვილი თავის აქტივებს საქართველოში ოფშორული კომპანიების საშუალებით ფლობდა, რაც მესაკუთრეთა ვინაობის დადგენას ართულებს, რადგან, შესაძლოა, ეს მონაცემები საჯარო რეესტრის დოკუმენტებში არც კი აისახოს. კეზერაშვილის ბინზესინტერესის სფერო სარეკლამო ბაზრის სრული კონტროლიც იყო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2011 წლის ანგარიშში, რომელიც საქართველოს სარეკლამო ბაზრის კვლევას ეხება, აღნიშნულია, რომ სარეკლამო სექტორის დიდ ნაწილს სწორედ დავით კეზერაშვილი აკონტროლებდა. მისი მეგობრები და ნათესავები ფლობდნენ, მართავდნენ და/ან დაკავშირებულნი იყვნენ ამ სექტორის რამდენიმე უმსხვილეს კომპანიასთან, რომელთა შორისაა:

„ჯენერალ მედია“ — სარეკლამო გაყიდვების სახლი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა რეკლამის განთავსება ყველა ნაციონალურ არხზე. კომპანიამ 2012 წლის არჩევნების შემდეგ მალევე შეწყვიტა ფუნქციონირება; „აუთდორ ჯი“ — გარე რეკლამის უმსხვილესი კომპანია თბილისში, რომელსაც თბილისის მერიამ მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სარეკლამო განცხადებების განთავსების ექსკლუზიური უფლება მიანიჭა. მტკვრის მარცხენა სანაპიროს კი „სმოდ ედვერთაიზინგი“ აკონტროლებდა, რომელიც, როგორც ირკვევა, დე ფაქტო, „აუთდორ ჯის“ შვილობილი კომპანიაა. „აუთდორ ჯის“ მთავარი აქციონერი კი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია Adprojects Inc-ია (70%), „სმოდის“ 100%-იან წილს კი პანამური Smod Equtiy ჯგუფი ფლობს. კეზერაშვილთან დაკავშირებული სარეკლამო სააგენტოებია: „მედია პორტი“, „ედ უინდფორსი“, „ედ კორპორეიშენ“, „BSM ჯორჯია“.

კეზერაშვილის ბიზნესკომპანიების ნომინალური მმართველი, მისივე სიძე, დიმიტრი ჩიქოვანი იყო, რომელიც, ამავდროულად, „აუთდორ ჯის“ ფლობდა. 2012 წლის იანვარში, ჩიქოვანი „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგსაც“ ხელმძღვანელობდა და კეზერაშვილის ინტერესი ფოთის პორტის მიმართ, სწორედ აქ იკვეთება. დიმიტრი ჩიქოვანი მინდობილობით მართავდა Adprojects Inc-ს, „აუთდორ ჯის“ და დღემდე წარმოადგენს „ლექსორ კაპიტალს“, რომელიც „საქართველოს ლატარიის კომპანიის” 30%-იანი წილის მფლობელად რჩება.

2011 წელს, კეზერაშვილმა დაადასტურა, რომ „გალფის“ მესაკუთრე იყო. 2012 წლის ნოემბერში, „სან პეტროლეუმ ჯორჯიამ“ (რომელიც „გალფის“ დაახლოებით 140 ბენზინგასამართ სადგურს ამუშავებს საქართველოში) განაცხადა, რომ კეზერაშვილმა ამ კომპანიის ყველა აქცია დათმო. 2012 წლის ივლისამდე, კეზერაშვილი შპს „უნიგრუპსაც“ ფლობდა, რომელიც „ლუკოილის“ პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორი იყო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარები, დავით კეზერაშვილის აქტივების მმართველად კიდევ ერთ პირს, ალექსანდრე გოგოხიასაც ასახელებენ, რომელიც 2009 წლამდე, „საქართველოს ლატარიის კომპანიის გამგეობის წევრი, „აუთდორ ჯის“ ფინანსური მენეჯერი და Smod Equity-ს წარმომადგენელი კომპანიის „უნივერსალ კაპიტალ გრუპის“ დირექტორი იყო. „უნივერსალ კაპიტალ გრუპი“, წამყვანი სარეკლამო სააგენტო „მედია პორტის“ 60%-ის მფლობელია. მასვე ეკუთვნის 100%-იანი წილი შპს UCG ტრანსში (ფოთის ტერმინალის ოპერატორი) და 24,497% — „აგარის შაქრის კომპანიაში“.

გაყიდვამდე, „უნივერსალ კაპიტალ გრუპი“, Rylf Management SA-ის (პანამა) კუთვნილება იყო. ესეც ფორმალური ჰოლდინგია, რომელიც, შესაძლოა, კეზერაშვილს ეკუთვნის. მისი წარმომადგენელი იოსებ მგელაძე, „უნივერსალ კაპიტალ გრუპს“ ხელმძღვანელობდა. Rylf Management SA-ს წარმოადგენდა ივანე ნაკაიძე, რომელიც 2012 წლის ივლისამდე, „ჩენელ ენერჯის“ (ნავთობტერმინალის ოპერატორი ფოთის პორტში) ფინანსური დირექტორი იყო. თავის მხრივ, „ჩენელ ენერჯი“, „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის“ ერთ-ერთი მფლობელია და აქციების 32.67%-ს ფლობს.

## როგორ ჩაანაცვლა კეზერაშვილი იაკობაშვილმა?

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კეზერაშვილის აქტივების უმეტესობა დავით იაკობაშვილმა შეიძინა. რუსული „ფორბსი“, იაკობაშვილის ქონებას 950 000 000 აშშ დოლარად აფასებს, რომელიც რძისა და წვენების მწარმოებელი რუსული კომპანია Wimm-Bill-Dan-ის თანადამფუძნებელი, აქციონერი და თავმჯდომარე იყო. 2010 წელს, კომპანია Wimm-Bill-Dan-ი, PepsiCo-მ 4 200 000 000 აშშ დოლარად შეიძინა. ამჟამად, იაკობაშვილი Sistema JSFC-ის გამგეობის დამოუკიდებელი წევრია, რომელიც აქციების 0.0031%-იან წილს ფლობს. საკუთარი ვებ-საიტის თანახმად, Sistema JSFC, რუსეთსა და დსთ-ში ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიაა, რომელსაც ინვესტიციები აქვს ჩადებული ტელეკომუნიკაციების, მაღალი ტექნოლოგიების, ნავთობის, ენერგეტიკის, რადარების, კოსმოსის, საბანკო, საცალო, მასმედიის, ტურიზმისა და ჯანდაცვის მომსახურების სფეროებში. იაკობაშვილი აქტიურად მონაწილეობს რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატისა და სხვა ბიზნესასოციაციების საქმიანობაში, ასევე მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმსა და ევროპული დემოკრატიის ფორუმის ეკონომიკურ მრჩეველთა სენატში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კვლევის მიხედვით, დავით იაკობაშვილმა „სმოდ ედვერთაიზინგი“ 345 000 აშშ დოლარად, Milarm International Corp-ის (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) საშუალებით შეიძინა. 2013 წლის მაისში, იაკობაშვილის წარმომადგენელმა საქართველოში, ალექსანდრე ბერიძემ დაადასტურა, რომს იაკობაშვილის საკუთრებაშია კიდევ ერთი სარეკლამო კომპანია „აუთდორ ჯი“. საკუთრების ცვლილება კი საჯარო რეესტრის მონაცემებით არ ფიქსირდება, რადგან გამორიცხული არ არის, იაკობაშვილმა „აუთდორ ჯის“ მფლობელი ერთ-ერთი ოფშორული კომპანია Adprojects შეიძინა და არა თავად „აუთდორ ჯი“.

იაკობაშვილმა „უნივერსალ კაპიტალ გრუპი“ (UCG), 2 მილიონ აშშ დოლარად იყიდა და მას Gannado Worldwide-ისა (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) და Redeli Management Limited-ის (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) საშუალებით ფლობს. Gannado Worldwide-ის საშუალებით, იაკობაშვილი კაზინო „აჭარის“ 90%-იან წილსაც ფლობს, რომელიც 2011 წლის მაისში 8 000 072 აშშ დოლარად შეიძინა.

2012 წლის ნოემბერში, იაკობაშვილი „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ ძირითადი აქციონერი გახდა. ეს კომპანია ოფიციალურად, დელავერის შტატში რეგისტრირებულ Energy Investment Venture Holding-ს ეკუთვნის. „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კეზერაშვილმა კომპანიის ყველა აქციაზე უარი თქვა, მაგრამ არ დაუკონკრეტებიათ, რა რაოდენობის წილს ფლობს იაკობაშვილი ამ კომპანიაში. გავრცელებული ინფორმაციით, საკუთარი აქციების 25%-იანი წილი, რომელიც „პეტროკას ენერჯი გრუპში“ იაკობაშვილმა 2011 წელს შეიძინა, 80%-მდე გაზარდა. „პეტროკასი“ ნავთობპროდუქტების სავაჭრო და გადამზიდავი კომპანიაა, რომელიც „ლუკოილს“, „სოკარს“, „რომპეტროლსა“ და „გალფს“ ნავთობპროდუქტებით ამარაგებს. კომპანია აქტიურად საქმიანობს საქართველოში, თურქმენეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და ვიეტნამში.

იაკობაშვილი აქციათა უმრავლესობას ფლობს ფოთის პორტის ნავთობტერმინალის ოპერატორ კომპანია, შპს „ჩენელ ენერჯიში“, რომელიც სასაწყობე ობიექტებსაც აკონტროლებს. „ჩენელ ენერჯი ფოთი“ კი შპს „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგის“ 32,67% -იან წილის მფლობელია. იაკობაშვილის საკუთრებაშია Future Products Company, რომელიც „ჩენელ ენერჯისთანაა“ დაკავშირებული. თავის მხრივ, Future Products Company, სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული ოფშორული კომპანია Future Products Company-ს მფლობელობაშია.

დავით იაკობაშვილს ბიზნესურთიერთობები ჰქონდა საქართველოს მოქმედ პრემიერ-მინისტრთან, ბიძინა ივანიშვილთან. 2012 წლის მარტში, ივანიშვილის აგროსამრეწველო კომპანია „სტოილენსკაია ნივამ“ (Stoylenskaya Niva) იაკობაშვილის ჰოლდინგ ЗАО Русагропроект-ისგან, რამდენიმე პურის ქარხანა შეიძინა. 2012 წელს იაკობაშვილმა დაადასტურა გარიგება, მაგრამ ამ გარიგების ზუსტი ღირებულება არ გაუმჟღავნებია. ამის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა, „სტოილენსკაია ნივა“ Arco International Group-ს (ამერიკული საინვესტიციო ფირმა), 180 000 000 აშშ დოლარად მიყიდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მკვლევარების თქმით, პრემიერ-მინისტრის ქონებრივ დეკლარაციაში ეს შემოსავალი აღნიშნული არ არის.

ნავთობკომპანია „გალფი“, საქართველოს ბაზარზე 2011 წლის გაზაფხულზე შემოვიდა, რომელსაც 2010 წელს დაფუძნებული კომპანია „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ წარმოადგენდა. „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ საქართველოში სამი კომპანიის — „სენტას“, „მაგნატისა“ და „ეკოს“ ქსელს ფლობდა, მისი დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი კი აშშ-ში რეგისტრირებული კომპანია Energy Investiments Venture-ია.

ფაქტია, რომ კეზერაშვილის „გალფი“ ბაზარზე სამი კომპანიის — „სენტას“, „მაგნატისა“ და „ეკოს“ ქსელის ჩაძირვის ხარჯზე შემოვიდა. მეტიც, მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ კეზერაშვილის „გალფის“ სასარგებლოდ, წილის დათმობა „სოკარსაც“ მოუწია. უფრო ზუსტად, საკუთარი წილი „სოკარში“ ანუ აქციების 24%-ზე მეტი ვანო ჩხარტიშვილმა ნაციონალური მოძრაობის მთავარ მოლარეს, დავით კეზერაშვილს დაუთმო. ოფიციალურად, ეს ინფორმაცია არ დასტურდება, მაგრამ ფაქტია, რომ ბაზარზე შემოსვლით, „გალფმა“ აზერბაიჯანული „სოკარიც“ საფუძვლიანად ჩააჩოჩა. „სოკარსა“ და „გალფს“ შორის ბიზნესკავშირს დავით კეზერაშვილიც კი არ უარყოფდა, მაგრამ ეს წილის დათმობას არ ეხება, ოფიციალურად, „გალფი“ აზერბაიჯანულ საწვავს სწორედ „სოკარისგან“ ყიდულობდა და ბაზარზე არსებულ ყველა კომპანიაზე იაფადაც ყიდდა.

მოსთხოვსთუარასაკუთარიწილისდაბრუნებასვანოჩხარტიშვილი დავით იაკობაშვილს? სხვათა შორის, ორივეს ინტერესებს ერთი და იგივე ადვოკატი იცავს. „ვერსია“ **დიმიტრი გაბუნიას** დაუკავშირდა, რომელიც დავით იაკობაშვილის წარმომადგენელია საქართველოში:

*დასასრული მე-7 გვერდზე*

# რას ნიშნავს აჭარის მთავრობის მეთაურისა და ცენტრალური ხელისუფლების არაკოაბიტაციური განცხადებები ეკონომიკური სოუსით?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საყოველთაო კოაბიტაციის ფონზე, აჭარისა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები რეალობას აცდნენ. 13 სექტემბერს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა, არჩილ ხაბაძემ აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ადგილობრივი ფერმერები დაამშვიდა და განაცხადა, რომ ციტრუსის ექსპორტს ხელი არ შეეშლება, რადგან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც მთავრობის ვიცე-პრემიერია, რუსეთში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა, სადაც ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. მეტიც, სულ მალე, ამავე საკითხზე სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი შალვა ფიფია უკრაინასა და რუსეთს ეწვევა. მოგვიანებით, ორივე სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსებმა არჩილ ხაბაძის ინფორმაცია უარყვეს და დააზუსტეს, რომ არც გიორგი კვირიკაშვილი იყო რუსეთში და არც შალვა ფიფია გეგმავს უკრაინაში ვიზიტს. ციტრუსის ექსპორტს კი ხელი ნამდვილად არ შეეშლება, რადგან ტრადიციულ ბაზრებს — უკრაინას, ბელორუსს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს, წელს რუსეთის ბაზარიც დაემატა.**

ტრადიციული ბაზრების გარდა, წელს ციტრუსს რუსეთშიც გაიტანენ



## როცა მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით არჩილ ხაბაძის ვრცელი ინტერვიუ გავიდა. მთავრობის მეთაურმა განაცხადა, რომ ეკონომიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი მოსკოვში იმყოფებოდა: **„გზები კეთდება, „ყაზბეგის“ საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიხსნა და გვინდა, რომ ზამთრისთვის მზად იყოს. ბატონი გიორგი კვირიკაშვილი, რამდენიმე კვირის წინ რუსეთში იმყოფებოდა. შესაბამის სამსახურებთან შეთანხმების შემდეგ, თუ არ ვცდები, 10 მანქანის გატანის პრობლემა არ გვექნება, სატვირთო ავტომობილების გატარების რეჟიმიც გაადვილდება. ეს ერთი ნაწილია, მაგრამ მალე, სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია უკრაინაში იქნება და მერე რუსეთშიც ექნება ვიზიტი, რათა ციტრუსის გატანის საკითხები დავალაგოთ. თუმცა მხოლოდ ციტრუსზე არაა საუბარი, მალე რთველი დაიწყება და ამისთვისაც მიდის მზადება, მოგვიანებით, ციტრუსის სეზონიც დაიწყება“.**

მოგვიანებით, არჩილ ხაბაძის ამ განცხადებას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური გამოეხმაურა, სადაც აღნიშნულია, რომ აჭარის მთავრობის მეთაურმა უნებლიე შეცდომა დაუშვა: **„ცალსახად გვინდა განვაცხადოთ, რომ გიორგი კვირიკაშვილი რუსეთში, არც სამუშაო და არც კერძო ვიზიტით არ იმყოფებოდა. შესაბამისად, ბატონი არჩილ ხაბაძის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება. სავარაუდოდ, აჭარის მთავრობის მეთაურს მხედველობაში ჰქონდა ის წარმატებული მოლაპარაკება, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დელეგაციამ, თავის რუს კოლეგებთან 2013 წლის 6-7 აგვისტოს გამართა. მოლაპარაკების შედეგად, საქართველოსა და რუსეთს შორის, 2006 წელს შეწყვეტილი საერთაშორისო საავტომობილო-სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვები განახლდა ქართული გადამზიდავი კომპანიებისთვის. მოლაპარაკება მოსკოვში ჩატარდა და საქართველოს დელეგაციას სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს უფროსი, მიხეილ ხმალაძე ხელმძღვანელობდა.**

**როგორც უშუალოდ მოლაპარაკების, ისე მისი წარმატებული შედეგების შესახებ, დეტალური ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეა განთავსებული. თავის დროზე, სათანადო ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთის მედიასაშუალებებმაც გაავრცელეს“.**

შალვა ფიფიას უკრაინასა და რუსეთში ვიზიტს არც სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადასტურებენ. ამ შემთხვევაში, საინტერესო მხოლოდ ის არის, რატომ ვერ ახერხებენ შეთანხმებულ მუშაობას რეგიონისა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები. მართალია, აჭარის მთავრობის მეთაურის „უნებლიე შეცდომას“ თავისი მიზეზი ექნება, მაგრამ ფაქტია, რომ რეგიონსა და ცენტრს შორის, კომუნიკაციის პრობლემაა. სხვათა შორის, არც ეს პრობლემაა ახალი, რადგან არჩილ ხაბაძის „უნებლიე შეცდომამ“, რამდენიმე წლისწინანდელი შემთხვევა გამახსენა.

სამიოდე წლის წინ, აჭარის მთავრობის მეთაურმა ლევან ვარშალომიძემ, მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ნიკა გილაურს საჯაროდ განუცხადა, რომ მასთან კომუნიკაციას ვერ ახერხებდა. ვარშალომიძემ განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრს წერილობით რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ ნიკა გილაურის აპარატმა მისი წერილები უპასუხოდ დატოვა. „ვერსიაში“ ვწერდით, ვარშალომიძე ერთხელ მაინც რომ დასწრებოდა მთავრობის სხდომას (მთავრობის სხდომაზე არდასწრება ასლან აბაშიძის დამკვიდრებული ტენდენციაა), სავარაუდოდ, ნიკა გილაურთან კომუნიკაცია არ გაუჭირდებოდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურებსა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობის კრიზისი იმდენად ღრმაა, რომ სათავეს ჯერ კიდევ ასლან აბაშიძისა და ედუარდ შევარდნაძის მმართველობიდან იღებს. ამ ურთიერთობაში სიახლე ვერც ნაციონალურმა მოძრაობამ შეიტანა, რადგან ვარშალომიძე გილაურს ღიად დაუპირისპირდა, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, წინა ხელისუფლების პოლიტიკურმა ელიტამ ეს კონფლიქტი ხავერდოვნად მოაგვარა. ცხადია, პრობლემის დარეგულირება ბიძინა ივანიშვილის მთავრობას მოუწევს, თორემ შეუძლებელია, ცენტრსა და რეგიონს შორის ეს გაუგებრობა იქამდე გაგრძელდეს, რომ მარჯვენამ არ იცოდეს, რას აკეთებს მარცხენა, ან — პირიქით...

## აჭარაში 100 000 ტონა ციტრუსის მოსავალს ელიან

აჭარელი ფერმერების დასამშვიდებლად, რეგიონის მთავრობის მეთაურმა თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო, მაგრამ ადგილობრივებს ციტრუსის რეალიზაციისა და ექსპორტზე გატანის პრობლემა ნამდვილად არ შეექმნება. ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, აჭარელ ფერმერებს სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადასცეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ძველი შენობა-ნაგებობები ანუ „პავილიონები“, სადაც ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოები უნდა განთავსდეს. ერთ-ერთმა ფერმერმა, აჭარის ტელევიზიის ეთერში განაცხადა, რომ ციტრუსის გადამამუშავებელ საწარმოში, ტექნოლოგიური ხაზი ანუ კონვეიერი ოზურგეთიდან უნდა შემოიტანონ, რომელიც ციტრუსს გადაამუშავებს. კონვეიერი ძველია, დღეში მხოლოდ 200-300 კგ. ციტრუსის გადამუშავება შეუძლია და ფერმერი ეჭვობდა, შეძლებდა თუ არა ციტრუსის რეალიზაციას.

საინტერესოა, მოიძია თუ არა ახალმა ხელისუფლებამ ციტრუსის გასაღების ბაზრები? რა ვითარებაა აჭარაში ამ მხრივ და რამდენად სწორია აჭარელი ფერმერის ინფორმაცია ძველ ტექნოლოგიურ ხაზებთან დაკავშირებით? „ვერსია“ აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსს, **ლევან ბოლქვაძეს** გაესაუბრა, რომელმაც ეს ინფორმაცია არ დაადასტურა და განაცხადა, რომ ციტრუსის გადამამუშავებელ საწარმოებში უახლესი ტექნოლოგიური ხაზებია დამონტაჟებული:

— ამჟამად, სახელმწიფოს კუთვნილი 12 საწარმო გადავეცით ფერმერებს, მათგან 6 — ხელვაჩაურში და 6 — ქობულეთში, თუმცა ქობულეთის მუნიციპალიტეტში 8 ერთეული და ხელვაჩაურში კიდევ 5 ერთეული საწარმო ისევ სახელმწიფოს საკუთრებაშია. დარჩენილი 13 საწარმო ცენტრალურმა ხელისუფლებამ ჯერ ჩვენ, აჭარის მთავრობას უნდა გადმოგვცეს საკუთრებაში, რომ ამის შემდეგ, სიმბოლურ ფასად ფერმერებს გადავცეთ. ეს საწარმოები იმდენად ძველია, რომ ზოგან მხოლოდ შენობის კედლებია დარჩენილი, რადგან 20-25 წლის განმავლობაში მიტოვებული იყო. აღდგენითი სამუშაოები თითქმის დასრულდა და ინფრასტრუქტურაც მოწესრიგდა, ფერმერები კი უკვე ხელშეკრულებებს აფორმებენ უცხოელ მომწოდებლებთან, რათა ციტრუსის დახარისხება-გადამუშავების უახლესი ტექნოლოგიური ხაზები შეიძინონ. გარდა ამისა, ფერმერებისთვის უკვე გადაცემული 12 საწარმოდან 3 საწარმოში ტარის (ციტრუსის შესაფუთი ყუთი) დამამზადებელი ხაზებიც გაიხსნება. ვგულისხმობთ თანამედროვე ტიპის ტარა-მასალას, ანუ 12-დან 15 კილოგრამამდე ტევადობის ყუთებს, რომლებიც სერტიფიცირებული იქნება, რაც სპეციალური ბეჭდით დამოწმდება. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ამ ტარა-მასალით გატანილი ციტრუსი კარანტინის დროს არ დაბრკოლდება. რაც მთავარია, ფერმერებს, რომლებმაც საწარმოები შეისყიდეს, ხელშეკრულებაში ჩადებული აქვთ პირობა, რომ საწარმოებში საქმიანობა ნოემბრამდე უნდა დაასრულონ, რათა 1 ნოემბრიდან ციტრუსის მიღება დაიწყონ.

**— ბატონო ლევან, ერთ-ერთი ფერმერის განცხადებით, ოზურგეთიდან გადმოაქვთ კონვეიერი, რომელიც ძველია, როგორ შეძლებთ ასეთ საწარმოებში ციტრუსის გადამუშავებას?**

— არც ერთი ძველი ხაზი არ დამონტაჟდება, ყველა საწარმო ახალი და თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიური ხაზებითაა აღჭურვილი. თუ ვინმეს აქვს, კერძო საწარმო და თავისთვის რაღაცის გაკეთება სურს, ხელს არ შევუშლით. ისე, ძველი კონვეიერიც გამოდგება, ციტრუსს გადაამუშავებს, მაგრამ იმ ფერმერებთან, რომლებთანაც ხელშეკრულება გავაფორმეთ, ყველამ თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიური ხაზები უნდა დაამონტაჟოს. ამ ახალი ტექნოლოგიური ხაზების წარმადობა პატარა საწარმოებში — 5 ტონა, ხოლო მსხვილ საწარმოებში — 10 ტონა იქნება.

**— გაქვთ თუ არა მოძიებული ციტრუსის გასაღების ბაზარი, აჭარელი ფერმერები პროდუქციის ექსპორტს შეძლებენ?**

— ციტრუსის გასაღების ტრადიციულ ბაზრებს — უკრაინას, ბელორუსს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და ბალტიის ქვეყნებს, წელს რუსეთის ბაზარიც დაემატება. ჩვენთან რუსეთის ფიტო-სანიტარული სამსახურის წარმომადგენლებიც ჩამოვიდნენ, დაათვალიერეს ლაბორატორიები, რადგან საექსპორტო პროდუქციას, ფიტო-სანიტარული გარანტიის კუთხით, ლაბორატორიული შემოწმება სჭირდება. რუსმა სპეციალისტებმა სიტყვიერად უკვე დააფიქსირეს დადებითი პოზიცია და გვითხრეს, რომ ჩვენი ლაბორატორიები საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს, მაგრამ რამდენიმე დღეში, ოფიციალურ დასკვნასაც მივიღებთ. რუსი სპეციალისტები უშუალოდ, ციტრუსის კრეფის მომენტშიც ჩამოვლენ და ადგილზე დააკვირდებიან პროცესს, თუ როგორ აბარებენ ფერმერები პროდუქციას, როგორ ამოწმებენ და აფასოებენ გადამამუშავებელ საწარმოებში. რუსი სპეციალისტები ამბობენ, რომ რუსეთის ბაზარზე, ქართულ ჩაისა და ციტრუსს პრობლემა არ ექნება.

**— აჭარელ ფერმერებში პანიკაა, რადგან შარშან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს უკრაინის ბაზარი ჩაუკეტავთ, რის გამოც მოსახლეობას ციტრუსი დაულპა...**

— არა, ბევრი ადამიანი ავრცელებს ყურმოკრულ ჭორებს, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, უკმაყოფილოებიც იყვნენ. შარშან რთული სიტუაცია იყო, მაგრამ რაც კი შესაძლებელი იყო, უმოკლეს ვადაში, ყველაფერი გავაკეთეთ. არასტანდარტული ნაყოფის გადამუშავების მთელი რიგი ღონისძიებები გავატარეთ და ქობულეთის საწარმომ 15 000 ტონა ციტრუსი გადაამუშავა, რაც მანამდე არ გაკეთებულა. ყველა ფერმერმა, ვინც შარშან ციტრუსი ჩააბარა, შესაბამისი ანაზღაურება მიიღო იმ არასტანდარტულ ნაყოფში, რასაც საწარმოები არ იბარებდნენ და მართლა ყრიდნენ. იმ 12 საწარმოსთან ერთად, წელს ქობულეთის ქარხანაც მზადაა, რომ არა მარტო არასტანდარტული ნაყოფი, ასევე — სტანდარტულიც მიიღოს, გადაამუშაოს და ფერმერებმა კი რეალიზაცია შეძლონ, ამავდროულად, ციმბირიდან დიდი პარტიის შესყიდვის მსურველები მოდიან, რათა ამ პავილიონებში 10 000-დან 15 000 ტონამდე ციტრუსი დამზადდეს, რომლებსაც სარეალიზაციოდ გაიტანენ.

**— გადაყრილი მანდარინით, წელს შავი ზღვა აღარ გადაყვითლდება?**

— ჩვენს ხელთ არსებული ძალებით, ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მსგავსი შემთხვევები არ მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით, წელს უხვმოსავლიანობაა, რადგან 100 000 ტონაზე მეტ მოსავალს ველოდებით, ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ მოსახლეობას, რათა ციტრუსი უდანაკარგოდ ჩავიბაროთ და რეალიზაცია განვახორციელოთ.

# უჩივლებს თუ არა ვანო ჩხარტიშვილი დავით იაკობაშვილს?

*მე-6 გვერდიდან*

**— ვანო ჩხარტიშვილი იაკობაშვილისგან საკუთარი წილის დაბრუნებას არ აპირებს?**

— ამ დეტალის შესახებ არაფერი ვიცი, არც ის ვიცი, როგორ შეიქმნა „გალფი“ და შესაბამისად, ვერაფერს გეტყვით. მიუხედავად იმისა, რომ ვანო ჩხარტიშვილი ჩემი კლიენტია, ახლა პირველად მესმის, რომ „სოკარმა“ წილი დაუთმო „გალფს“. ასეც რომ იყოს, რა თქმა უნდა, „სოკარის“ გადასაწყვეტია, როგორ მოიქცევა.

**— სამართლებრივად, დავით იაკობაშვილი კეთილსინდისიერი მყიდველია?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სამართლებრივად და ფაქტობრივადაც, ეს ტრანზაქცია აბსოლუტურად ლეგალურად განხორციელდა. არავითარი ოფშორული კომპანია, ან დამალული თანხა არაფერ შუაში არ არის, რადგან ყველა ტრანზაქცია გამჭვირვალედ განხორციელდა. ყველა ამერიკული, თუ უცხოური კომპანია, რომელიც იაკობაშვილმა შეიძინა, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული არ არის, მათი მფლობელები და მესაკუთრეები დაფიქსირებულები არიან. მეტიც, ეს ყველაფერი იაკობაშვილს არასდროს დაუმალავს, მან ყველა კომპანიაში საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა. სხვათა შორის, იაკობაშვილს არავინ ჩაუნაცვლებია, მათ შორის, არც კეზერაშვილი, რადგან იმ ადამიანმა გაყიდა ბიზნესი, რომელიც ბატონმა დავითმა იყიდა.

**— „სენტასა“ და „მაგნატის“ მფლობელებს რომ „გალფის“ წინააღმდეგ პროკურატურაში სარჩელი აქვთ შეტანილი?**

— დიახ, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და ჩვენც დაველოდებით. რაც შეეხება სასამართლო დავებს, ეს იმ კომპანიების მფლობელების უფლებაა, რომლებსაც საჩივარი აქვთ შეტანილი. ჩვენ კი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდებით.

მედია-კავშირი ობიექტივი
FM 105.0
www.obieqtivi.net

ობიექტური ვერსია

იპოვით თქვენი ვერსია www.versia.ge

# ლევან ვეფხვაძე: „მთავარია, საზოგადოებამ, სააკაშვილის მსგავსად, ბიძინა ივანიშვილსაც არ აღმოუჩინოს არაჯანსაღი მხარდაჭერა, რის შედეგადაც პრეზიდენტი უმართავი გახდა!“



რუსუდან შელია
557-100-768

**16 სექტემბერს, გაზეთ „ვერსიისა“ და მედიაკავშირ „ობიექტივის“ ერთობლივი ტელეპროექტის „ვერსიის საათის“ სტუმარი ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე იყო, რომელმაც წინასაარჩევნო პროცესები შეაფასა და ტელეკომპანია „იმედში“ არსებულ საფრთხეებზეც ისაუბრა. „ვერსია“ გადაცემის საგაზეთო ვარიანტს გთავაზობთ.**

— საზოგადოებამ დღეს კარგად გაიაზრა, რომ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში სულაც არ ირჩევს ისეთ ლიდერს, როგორისთვისაც წინა არჩევნებში იბრძოდა. მსგავსი პოლიტიკური ვითარება კი წინასაარჩევნო კამპანიის მოლოდინსა და ტემპსაც კარგად დაეტყო. მომავალი პრეზიდენტი მხოლოდ არბიტრის ფუნქციას შეასრულებს, რეალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა კი არ ექნება.

**საზოგადოება იმასაც კარგად ხვდება, რომ თუ არჩევნებში კოალიციის კანდიდატი გაიმარჯვებს, ძალაუფლება ისევ ერთი პოლიტიკური ძალის ხელში აღმოჩნდება, რაც ქვეყნისთვის მომგებიანი სულაც არ არის. სააკაშვილის მთავარი პრობლემა სწორედ ის იყო, რომ დაუბალანსებელ პირველ პირად ჩამოყალიბდა. ვფიქრობ, ამ ვითარების თავიდან ასაცილებლად ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა აუცილებელია, რადგან ამჟამინდელ პარლამენტარებს საზოგადოებამ ნდობა მხოლოდ ერთი პირის პატივისცემით გამოუცხადა. ის კი პოლიტიკიდან არჩევნების შემდეგ მიდის.**

**— პრემიერის პოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცნობილია, არც კოალიციას აწყობს ახალი არჩევნების დანიშვნა. როგორ წარმოგიდგენიათ, ამჟამინდელი პარლამენტისთვის ლეგიტიმაციის შეჩერება?**

— სწორედ ამიტომ, დღევანდელი ვითარება 90-იან წლებს მაგონებს, როცა ბიძინა ივანიშვილი შემდეგი პრინციპით მართავდა ბიზნესს: როცა კომპანიის სააქციო ფასი ვარდებოდა, საკმაოდ დაბალ ფასად ყიდულობდა, შემდეგ მის მართვას დაქირავებულ მენეჯერებს ანდობდა, რომელთა საქმიანობაშიც თავად არ ერეოდა. ზუსტად იგივე პრინციპით მართავს ბიძინა ივანიშვილი ქვეყანას, რაც პოლიტიკაში არ ამართლებს, რადგან საბოლოოდ, ქვეყანაში გადამწყვეტია ხალხის ნება.

მისასალმებელია, როცა ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ მესიანიზმი ქვეყანაში უნდა დასრულდეს, მაგრამ თუ ამას გულწრფელად ამბობს, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ავტომატურად, ამჟამინდელ პარლამენტს ლეგიტიმაცია უნდა შეუჩერდეს, რადგან საპარლამენტო უმრავლესობა სწორედ მესიანიზმის შედეგია. სხვათა შორის, დღეს იმის გარანტიაც არ არსებობს, რომ 25-27%-იანი კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი პირველივე ტურში მოიგებს თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის შეთანხმება არ დაიდო. დიახ, პარლამენტი ლეგიტიმაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს, თუ არჩევნებში გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს, მეორე ადგილზე კი დავით ბაქრაძე გავა.

**— კონკრეტული ფაქტები არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ხელისუფლება თქვენს მიერ წარმოდგენილი სცენარით მოქმედებს?**

— ფაქტია, ხელისუფლება ამისთვის ემზადება, რადგან საარჩევნო ადმინისტრაციაში სხვა პარტიის წარმომადგენლები არ დაუშვეს. ახლა გვეუბნებიან, ყველაზე მთავარი ის არის, რომ თავში არავინ გირტყამთო. 21-ე საუკუნეში ეს უნდა დაგვაყვედრონ?! წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების შესრულებაზე დღეს არავინ ფიქრობს, პირიქით, მმართველი გუნდი ერთი ერთში იმეორებს ყველა იმ ნაბიჯს, რის გამოც ოპოზიციაში ყოფნისას სააკაშვილის ხელისუფლებას აკრიტიკებდა. რაიონებში ძალიან ბევრი ადამიანი რეალური ცვლილებისთვის იბრძოდა, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ კოალიციის რიგები ყოფილმა ნაციონალებმა შეავსეს, რომლებმაც ძველი პარტიული დროშები მხოლოდ დროებით ჩაკეცეს და სამომავლოდ შეინახეს.

**— დღეს ხელისუფლების უმოქმედობა ძირითადად კოაბიტაციას ბრალდება. რა იქნება 27 ოქტომბრის შემდეგ, როცა საპრეზიდენტო პოსტს მიხეილ სააკაშვილი დატოვებს?**

— სააკაშვილი აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებაში მონაწილეობას ვერ იღებს და თუ, ვთქვათ, პროკურატურაში, ნაციონალების წარმომადგენლები არიან, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამაში ნაციონალური მოძრაობაა დამნაშავე. ამ ადამიანებს არც მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ გაუშვებს ვინმე სამსახურიდან და კოაბიტაციის დასრულებაც მორიგი ტყუილია, რომელსაც გიორგი მარგველაშვილი საზოგადოებას გვთავაზობს.

**ბუნებრივია, როცა დაპირებებს ვერ ასრულებ, უნდა მოძებნო მეისრე, რომელსაც უუნარობას გადააბრალებ, ამიტომაც ვამბობ, რომ თუ პრეზიდენტი ისევ სახელისუფლო კანდიდატი გახდება, სააკაშვილის ტიპის მმართველობას მივიღებთ.**

კოალიციას საკმარისი დრო ჰქონდა იმისათვის, რომ კონკრეტული მიმართულებები მაინც ეჩვენებინა, როგორ წარმოუდგენია დაპირებების რეალობაში განხორციელება. დღეს ისინი მხოლოდ ხანძრის ჩაქრობის პრინციპით მოქმედებენ — მოდი, ყველას ფული მივცეთ, მაგრამ მომავალ წელს რა იქნება, არავინ იცის.

**— მაშინ, როცა ქვეყანაში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური პროცესების არსებობაზე საუბრობთ, თქვენი პარტიისთვის ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვა და საარსებო მინიმუმის გაზრდა რატომ გახდა პრიორიტეტული?**

— ჩვენი პრიორიტეტი ღირებულებითი და სოციალური საკითხების წამოწევაა. ერთსქესიანთა ქორწინების მომხრეთა უზარმაზარი ტალღა აღმოსავლეთისკენ უკვე მოიწევს.

**დღეს საქართველოში უკვე მზადდება საკონსტიტუციო ცვლილება, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინებას არ კრძალავს. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმაც განაცხადა, რომ ჯერ ადრეა ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ, მერწმუნეთ, ორ წელიწადში ყველაფერი მზად იქნება, ცვლილება რომ ძალაში შევიდეს, რაც 17 მაისსაც კარგად გამოჩნდა.**

მთავარია, საზოგადოებამ, მიხეილ სააკაშვილის მსგავსად, ბიძინა ივანიშვილსაც არაჯანსაღი მხარდაჭერა არ აღმოუჩინოს, რადგან 2004 -2005 წლებში საზოგადოების მსგავსმა დამოკიდებულებამ სააკაშვილი უმართავი გახადა. მაშინ, საზოგადოების განწყობის მიუხედავად, ქრისტიან-დემოკრატები ხელისუფლებას ღიად ვამხელდით და გირგვლიანის საქმეც ჩვენ ამოვატივტივეთ.

**— საზოგადოება, ძირითადად, 2008 წელს, ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე, პარლამენტში შესვლას გსაყვედურობთ...**

— მაშინ ოპოზიცია იმაზე სუსტი იყო, ვიდრე დღესაა, არასამთავრობო სექტორი კი, პრაქტიკულად, არ არსებობდა. მხოლოდ ერთი ტელევიზია - „იმედი“ აღმოჩნდა როგორც ხელისუფლებისგან, ასევე მფლობელისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელი. მაშინ ეს არხი რომ არ ყოფილიყო, სააკაშვილს ყველაფერი შერჩებოდა. რაც შეეხება პარლამენტში შესვლის საკითხს, ვინც დეპუტატის მანდატზე მაშინ უარი თქვა, საბოლოოდ, ყველამ აღიარა, რომ ბოიკოტის გამოცხადება უდიდესი შეცდომა იყო. როგორც ჩანს, ზომიერი პოლიტიკა ვილაცისთვის ღალატთანაა დაკავშირებული, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა დაამტკიცა, რომ ხელისუფლების შეცვლა სწორედ არჩევნების გზით და არა აქციებითაა გამართლებული, რასაც წლების განმავლობაში ვამტკიცებდით და რის გამოც საზოგადოება მუდმივად გვაკრიტიკებდა.

**— დაბოლოს, ცნობილია, რომ მალე ბადრი პატარკაციშვილის ოჯახსა და ხელისუფლებას შორის დადებულ ხელშეკრულებას გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნება. რა შოკისმომგვრელი ინფორმაციის გამჟღავნებაზე საუბრობს პრემიერ-მინისტრი?**

— ვეჭვობ, გრიფის მოხსნა გიგი უგულავას პროცესს უკავშირდება. უგულავას ჯოზეფ ქეისთვის ტელევიზიის წართმევა ედება ბრალად. თუ სასამართლომ იგი გაამტყუნა, მაშინ ქეი ტელევიზიას მარტივად დაიბრუნებს. ამ კუთხით საფრთხე მართლაც არსებობს და გაუგებარია, რატომ არიან ჩუმად „იმედის“ მფლობელები. თუ ბიძინა ივანიშვილი წინასწარ იჭერს თადარიგს და, სასამართლო შედეგიდან გამომდინარე, ფიქრობს ინფორმაციის გასაჯაროებაზე, არა მგონია, ეს სწორი გადაწყვეტილება იყოს.

## აქტუალური რეპორტაჟი

# „ნაციონალებისთვისაც უკეთესია, ციხეში ჩასხდნენ, უფალზეც დაფიქრდებიან და ცოდვებსაც მოინანიებენ!“

*მე-5 გვერდიდან*

— ომის შემდეგ ეკონომიკურმა კრიზისმა შეგვიშალა ხელი, ამიტომ ვითხოვთ, რომ ამერიკის მიერ ომის შედეგების ლიკვიდაციისთვის გამოგზავნილი ოთხი მილიარდიდან ფული გამოგვიყონ.

— არ მინდა ნანა კაკაბაძესავით გამომივიდეს, რომელმაც იტრაბახა და ბოლოს არაფერი გამოუვიდა — ისევ დაფიქრდა მამუკა არეშიძე, რამაც იპოთეკით დაზარალებულებს იმედი გადაუწურა, თუმცა შემდეგ მიუბრუნდა და „იპოთეკარები“ გაამხნევა — ესენი როგორღაც უნდა გავტეხოთო.

დარბაზის მეორე სართულიდან ხმაური მომესმა. გია კორკოტაშვილი, ბიზნესმენ ბესო ხარძიანთან და რამდენიმე ხანში შესულ მამაკაცთან ერთად, ორგანიზაციის მომავალ ბედს ხმამაღლა განიხილავდა.

— ოფისი გვჭირდება, ძმაო, თანაც სასწრაფოდ. ხალხი რომ მოგვაწყდება, სად წავიყვანოთ? რეგიონებშიც უნდა გავხსნათ ოფისები, თბილისში კი ერთი ცენტრალური ოფისი გვჭირდება. კიდევ ერთი იდეა მაქვს: ბავშვების ჯგუფი შევქმნათ, რომლებიც ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს, კარტოფილს და მაკარონს მიუტანენ. დამიჯერეთ, ეს კარგი საშუალებაა „დუხის“ ასაწევად.

— მაგდენი ფული ჯერ არ გვაქვს, თორემ ამ იდეას მეც ვემხრობი — გამოელაპარაკა კორკოტაშვილს ბიზნესმენი ბესო ხარძიანი.

— ნუ გეშინია, ფული ერთ კვირაში დაჯდება, — დაამშვიდა კორკოტაშვილმა. მეორე სართულზე მდგომებთან ასვლა გადავწყვიტე, თუმცა მანამდე დარბაზში ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილიც შევნიშნე, რომელმაც მითხრა, ჩემი პირადი პრობლემით არ მოვსულვარ, ორგანიზაციის იდეას ვუჭერ მხარსო.

როცა გია კორკოტაშვილს ვკითხე, ერთ კვირაში ვის უნდა ჩაერიცხა მათთვის ფული, მიპასუხა: —

**დღეს ყველანი ენთუზიაზმით ვმუშაობთ, თუმცა მალე ანგარიშს გავხსნით, სადაც ფულის ჩარიცხვის საშუალება ნებისმიერ მხარდამჭერ მოქალაქეს შეეძლება. ამას ვგულისხმობდი, კონკრეტული დამფინანსებელი არავინ გვყავს.**

— კოაბიტაციის დასრულება როგორ წარმოგიდგენიათ, აქციებს დაიწყებთ და ნაციონალებს ფიზიკურად დაუპირისპირდებით?

— აქციებს აუცილებლად დავიწყებთ. რაც შეეხება ნაციონალებთან დაპირისპირებას, ჩვენი ორგანიზაცია სწორედ იმისთვის იქმნება, რომ ხალხი დამნაშავეებს არ დაერიოს. თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც ახლაა, დაპირისპირებამდე აუცილებლად მივალთ, ეს კი ჩვენი ამოცანა სულაც არ არის.

ამ დროს ბესო ხარძიანმა საკმაოდ საინტერესო იდეა გააჟღერა:

**ნამდვილად არ მჯერა, რომ ჩვენი ორგანიზაციის შექმნით სამართლიანობა აღდგება, ცოცხებით ნაციონალების დევნა საერთაშორისო ასპარეზზე მართლაც ცუდად გამოჩნდება, მაგრამ ხელისუფლებამ კოაბიტაცია ხალხთანაც უნდა დაიწყოს. ამ ორგანიზაციაში ჩემი მოსვლის ძირითადი მიზანი კი ისაა, რომ თბილისში ქალბატონ ირინა ენუქიძის, როგორც ნაციონალური მოძრაობის რეპრესიის წინააღმდეგ მებრძოლი დედის ძეგლი დაიდგას. ძეგლზე კი დიდი ასოებით უნდა დაეწეროს, რომ ის ნაციონალური მოძრაობის მსხვერპლია. თუ ამის გაკეთებას შევძლებთ, ზნეობრივი სამართლიანობა აღდგება და ჩავთვლი, რომ ქვეყნის წინაშე ჩემი ვალიც მოხდილი მექნება.**

დარბაზის პირველი სართულზე მამუკა არეშიძე უცნობ ქალბატონს ესაუბრებოდა: „ტანკები“ გვჭირდება, ინიციატივიანი ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკაში მოსვლაში მივეხმარები. წინ ხომ ადგილობრივი არჩევნები გველოდება.

— სამოქალაქო მოძრაობის დაფუძნება მხოლოდ ნიადაგის მომზადებაა პოლიტიკური ძალისთვის? — მათ საუბარში ჩავერიე.

— პირადად მე, ამ საქმეში არ გავეხვევი, მაგრამ ისეთი ტიპის ადამიანებიც მოდიან, რომლებსაც პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილება აქვთ. ჩვენ მხარს დავუჭერთ იმ მეომარ ხალხს, რომლებიც ქვეყნის მომავალზე მართლაც ზრუნავენ.

**მიღება დათქმულზე ოცი წუთით ადრე დასრულდა, საერთო ჯამში კი, ორგანიზაციაში უკვე 600-მდე ადამიანი გაწევრიანდა.**

პრეზენტაცია

# საქართველოს ბანკი კერძო სექტორის დაფინანსებას განაგრძობს

საქართველოს მოსახლეობისთვის, სოფლის მეურნეობისა დ კერძო სექტორის განვითარება, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საქართველოს ბანკი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ამ მიმართულებით ინვესტიციის განხორციელება დაიწყო. ბანკი კერძო სექტორის დაფინანსებას დღესაც განაგრძობს და ამის მაგალითია სიახლე, რომელიც საქართველოს ბანკის ხელმძღვანელობასთან ერთად, საპარტნიორო ფონდისა და კომპანია „კალანდას" წარმომადგენლებმა გააცნეს საზოგადოებას. საქართველოს ბანკმა 4 400 000 აშშ დოლარით დააფინანსა კომპანია „კალანდა", საპარტნიორო ფონდმა კი, შესაბამისად, 1 250 000 აშშ დოლარი გამოყო. დაფინანსების შედეგად შეიქმნა სრულიად ახალი, დახურული ტიპის მეღორეობის კომპლექსი, სოფელ კოდას მახლობლად.

საქართველოს ბანკის წარმომადგენლების განმარტებით, ბანკი კერძო სექტორის განვითარებაში წვლილს მომავალშიც აუცილებლად შეიტანს.

**ვასილ ხოდელი,** საქართველოს ბანკის კორპორატიული საბანკო მომსახურების დირექტორი: **„ტრადიციულად, საქართველოს ბანკი აგრძელებს კორპორატიული სეგმენტის დაფინანსებას. ჩვენთვის ამ სექტორთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, საქართველოს ბანკი, ლიდერიცაა და, თამამად შეიძლება ითქვას, ნოვატორიც — საქართველოს ბანკი იყო პირველი და ერთადერთი, რომელმაც დააფინანსა საერთაშორისო ბრენდის ქვეშ ოპერირებადი მრავალპროფილური მაღალტექნოლოგიური კლინიკები და ბევრი სხვა უნიკალური პროექტი, რომლის მსგავსიც დღემდე არც ერთ ბანკს არ დაუფინანსებია. საქართველოს ბანკი გამოირჩევა იმითაც, რომ თავის კორპორატიულ მომხმარებელს სთავაზობს არა მხოლოდ სტანდარტულ საბანკო პროდუქტს, არამედ დამატებით სერვისებსაც, რომელთა შორის მნიშვნელოვანია რჩევები, რეკომენდაციები ბიზნესის სწორად წარმართვისთვის... ეს ყველაფერი, საბოლოოდ, ჩვენი მომხმარებლის გაძლიერებას ემსახურება. ძლიერი მომხმარებელი კი, ჩვენი სიძლიერეცაა. „კალანდა" არის ერთ-ერთი გამორჩეული იმ პროექტებს შორის, რომელიც დააფინანსა საქართველოს ბანკმა აგრარული სექტორის დაკრედიტებისას. აგრარული სექტორის დაფინანსება საქართველოს ბანკისთვის პრიორიტეტია. ბანკის მიერ გაცემული პორტფელი ამ სეგმენტზე, აგვისტოს მდგომარეობით, 92 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. ჩვენი ბანკი აქტიურად მონაწილეობს შეღავათიანი აგროსესხების პროგრამაში და დღევანდელი მონაცემებით, ე.წ. მეორე კომპონენტში საქართველოს ბანკი ლიდერია".**

ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამფინანსებლის, საქართველოს ბანკის კორპორატიულ კლიენტებზე გაცემული სესხების პორტფელმა 2013 წლის პირველ ნახევარში 1 650 000 000 ლარს მიაღწია და 2013 წლის მეორე კვარტალში 4,8%-ით გაიზარდა, პირველ კვარტალთან შედარებით.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის, **ირაკლი კოვზანაძის** განმარტებით, საპარტნიორო ფონდის მიზანია, კერძო ინვესტიციების მხარდაჭერა და ფინანსური ინვესტიციების განხორციელება იქ, სადაც სახელმწიფოს გააჩნია პრიორიტეტები. ერთ-ერთი ასეთი პრიორიტეტული მიმართულება კი სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებაა: **„საპარტნიორო ფონდის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული ეს პროექტი უნიკალურია თავისი შინაარსით, რამდენადაც სახელმწიფოს, საბანკო სექტორისა და მეწარმეთა თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს. საპარტნიორო ფონდის ამოცანა გახლავთ კერძო ინვესტიციების მხარდაჭერა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. ერთ-ერთი ასეთია სოფლის მეურნეობა. ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ ამ პროექტის განხორციელებაში და ვფიქრობ, კერძო და სახელმწიფო სექტორის თანამშრომლობის კარგი მაგალითი ვაჩვენეთ. „კალანდა" ერთ-ერთი საუკეთესო კომპანიაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ რეგიონში. ჩვენი პროგნოზით, წლის ბოლოსთვის, ეს კომპანია საქართველოს ღორის ხორცის ბაზარს 20%-ით მოამარაგებს".**




ბანკისა და საპარტნიორო ფონდის დაფინანსებით, კომპანია „კალანდამ" მეღორეობის დახურული ტიპის კომპლექსი ააშენა

კომპანია „კალანდას" სრულიად ახალი, დახურული ტიპის მეღორეობის კომპლექსი მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების თანახმად და აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიით. „კალანდა" თანამშრომლობს ორ წამყვან დასავლურ კომპანიასთან: გერმანული კომპანია Big Dutchman და ბრიტანული კომპანია ACMC, რომლებმაც უზრუნველყვეს ახალი ფერმის პროექტირება, ტექნოლოგიური აღჭურვა და მაღალპროდუქტიული, სწრაფად მზარდი და მაღალი ჯანმრთელობის სტატუსის მქონე სანაშენე ღორების წარმოება.

**ანრი ბაციკაძე**, კომპანია „კალანდის" დირექტორი: **„ჩვენმა კომპანიამ წელიწადნახევრის წინ დაიწყო ამ პროექტის განხორციელება. მეღორეობის კომპლექსი მდებარეობს სოფელ კოდას მიმდებარედ. დღეს სახეზე გვაქვს ევროპული დონის, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი დახურული კომპლექსი. საქართველოსთვის ეს არის ინოვაცია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ პირველები ვართ ამ მიმართულებით. მთლიანად ამ პროექტში მოხდა 10 მილიონი დოლარის ინვესტირება, სამომავლოდ, ვგეგმავთ გაფართოებას და დაახლოებით, 5 მილიონი დოლარის ინვესტირება ამ ბიზნესს კიდევ დასჭირდება. ჩვენი მიზანია, ეს სექტორი, რომელიც, ფაქტობრივად, მიტოვებული იყო საქართველოში, ავაღორძინოთ თანამედროვე სტანდარტებით, რათა მივიღოთ ადგილობრივი წარმოების უმაღლესი ხარისხის ღორის ხორცი და შევთავაზოთ მომხმარებელს. თანხის ძირითადი ნაწილი დაიხარჯა ფერმის აღჭურვაზე. ეს არის მთლიანად ავტომატიზირებული ფერმა — ავტომატიზირებულია კვებაც, პირუტყვისთვის წყლის მიწოდებაც, კონდიცირება... ფერმაში, რომელიც 10 ათას კვადრატულ მეტრზეა გაშლილი კლიმატის კონტროლი ხდება. რომ არა საქართველოს ბანკისა და საპარტნიორო ფონდის მხარდაჭერა, ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება გაგვიჭირდებოდა.**

ანრი ბაციკაძის განმარტებით, საწყის ეტაპზე, „კალანდას" დახურულ კომპლექსში 650 დედაღორი ჰყავთ, რომლებიც წელიწადში 2000 ტონა ხორცს მისცემს. გაფართოების შემთხვევაში კი, წარმოების მოცულობა 4000 ტონამდე გაიზრდება, ქართული „კალანდას" ხარისხიან ღორის ხორცს კი მომხმარებელი დეკემბრის ბოლოს, ზუსტად საკალანდოდ დააგემოვნებს.

*ნინო ლურსმანაშვილი*

საზოგადოება

# რატომ არ აქვთ ინგილოებს ქართული სახელმძღვანელოები?



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**ისტორიულ ჰერეთში (საინგილოში) კანტი-კუნტად შემორჩენილი ქართული სკოლები მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების მწვავე უქონლობას განიცდიან. თუ კახის რაიონში, შედარებით ნორმალური მდგომარეობაა, ზაქათლისა და ბელაქნის სოფლებში კატასტროფული ვითარებაა — 2003-2004 წლების შემდეგ, მათ საქართველოს განათლების სამინისტროსგან გეგმიურად წიგნები აღარ მიუღიათ. რას მოიტანს ადგილობრივი ხელისუფლების შოვინისტური პოლიტიკა ქართველებისადმი და თბილისის მუდმივი წაყრუება, ამის პროგნოზირება რთული არ არის.**

თავის დროზე, საინგილოში ქართული სკოლები სტალინის ეპოქაში გაიხსნა. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო სამშობლოს საზღვრებსგარეთ დარჩენილებს დედაენაზე განათლების მიღების უფლება მიეცათ. თბილისიდან მომზადებული პედაგოგები იგზავნებოდნენ, ბევრი ადგილზე რჩებოდა და მამულიშვილურ მოვალეობას სიცოცხლის ბოლომდე პირნათლად ასრულებდა; პარალელურად, საინგილოდან თბილისში ჩამოჰყავდათ ბავშვები, ასწავლიდნენ, ამზადებდნენ და პირველი პედაგოგების ღირსეულ შემცვლელებად გზავნიდნენ. ამ პოლიტიკის შედეგად, დღეს საინგილოში ჰერები ცხოვრობენ და განათლებას მშობლიურ ენაზე იღებენ. სკოლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა განსაკუთრებით ზაქათლისა და ბელაქნის გამაჰმადიანებული თემისთვის, სადაც ეროვნული იდენტობის სხვა ნიშნები (გვარი, სარწმუნოება) უკვე დაკარგული იყო. ხოლო იმ სოფლებში, სადაც ქართული სკოლები ვერ გაიხსნა, დღეს მხოლოდ ღრმად მოხუცებულები მეტყველებენ ძველქართულად. ახალგაზრდა თაობამ გადმოცემით იცის საკუთარი წარმომავლობის თაობაზე, მაგრამ...

საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანის განათლების სამინისტროში ინსპექტორის სპეციალური შტატი იყო გამოყოფილი საინგილოს ქართული სკოლებისთვის. როგორც წესი, ქართველი თანამდებობის პირი მუდმივად დადიოდა ჰერეთის რაიონებში, სკოლებში, ადგილობრივ პრობლემებს იკვლევდა და რეაგირებას ახდენდა. შედეგად, ქართულ სკოლებს არაფერი აკლდა, სახელმძღვანელოები და პროგრამები ყოველწლიურად თბილისიდან იგზავნებოდა და ბაქოსთან კოორდინაციით, ადგილობრივ სკოლებში ვრცელდებოდა, ასეთი პოლიტიკა კი ორი მოძმე ერის ინტერესებს პასუხობდა.

90-იანების დასაწყისიდან ეს სისტემა დაინგრა, არადა წესით, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საინგილოს სკოლებში მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო: ბაქოდან ქართული სკოლების კურატორობის სისტემა მოიშალა, ხოლო ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ქართული სკოლების შევიწროება და გაუქმება მთავარ მიზნად დაისახა. ორ ქვეყანას შორის გაცხადებული მეგობრობის მიუხედავად, ეს პოლიტიკა აბსოლუტურად საპირისპიროდ ვითარდებოდა ჰერეთში.

ამის გამო, დღეს ზაქათლის რაიონის დაბა ალიაბადში (ისტ. ელისენი), სადაც ათი ათასამდე ადამიანი ცხოვრობს, ოთხი საშუალო სკოლიდან ქართული სექტორი მხოლოდ ერთში შემორჩა. ინგილო პედაგოგები დაჟინებით მოითხოვენ, დაბაში ცალკე ქართული სკოლის გახსნას, რადგან ენის გადარჩენისთვის სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავენ. ალიაბადელები ამბობენ, ქუთაისში ჩავიდნენ და დიასპორის კომიტეტის ხელმძღვანელს, გუბაზ სანიკიძეს შეხვდნენ, რომელიც დაპირდა, რომ ამ თემაზე უფრო ფართო შეხვედრა გაიმართებოდა და შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებდნენ... მაგრამ ამ საკითხს დღემდე არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ვითარება კი, მართლაც, სავალალოა — საინგილოში ქართული სკოლისა და მშობლიური ენის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

**„არ გვაქვს ახალი ქართული სახელმძღვანელოები, პროგრამები. მხარეებს შორის დაუსრულებელი მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ჩვენ კი ვიჩაგრებით. ძველი, დახეული წიგნებით როგორ ვასწავლოთ ბავშვებს? თითო-ოროლა სახელმძღვანელო მშობლებს საზღვარზე ფარულად გადმოაქვთ, თუ აღმოუჩენენ, შავი დღე დაატყდებათ. ესაა მეგობრობა? ზედმეტს არაფერს ვითხოვთ, მოგვცენ მშობლიურ ენაზე სრულფასოვნად სწავლა-განათლების უფლება.**

**გავიგეთ, ადგილობრივ ადმინისტრაციას გამაჰმადიანებულ ქართველებზე ჰქონია გართულება, თორემ კახის სოფლებში შედარებით ნორმალური მდგომარეობაა. ხომ შეიძლება, ბაქომ და თბილისმა ჩვენს პრობლემატიკაზე შეთანხმებულად იმუშაონ? ისტორიის მასწავლებელი ფაკულტატურ საათზე ბავშვებს საქართველოს ისტორიას უკითხავდა და ხელწერილი დააწერინეს, რომ მსგავს „უკანონობას" აღარ ჩაიდენდა. აი, ასეთ პირობებში გვიწევს მუშაობა და თბილისის მხრიდან აქტიურობა ამაში აუცილებელია. ქართულ მხარეს ჩვენს საკითხში ელემენტარული თავმოყვარეობა თუ არ ექნება, ნებისმიერი ადგილობრივი ჩინოვნიკი ქართულ სკოლას უცერემონიოდ თავზე გადაუვლის. არ გვინდა ქართული სკოლის, ენის დაკარგვა და ამაში უნდა დაგვეხმარონ",** — აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი პედაგოგი, რომლის ვინაობასაც, გასაგები მიზეზების გამო, არ ვასახელეთ.

მართლაც, სამარცხვინო ფაქტთან გვაქვს საქმე. საზღვარზე, ალაზნის პირას მცხოვრები ინგილოები ქართულ სახელმძღვანელოებს ითხოვენ, რათა მომავალ თაობას განათლება მისცენ და წინაპრების მიერ სისხლით შემონახული ენა არ დაკარგონ. რა არის ამაში ანტისახელმწიფოებრივი? თბილისს, წესით, არ უნდა უჭირდეს, მეგობარი სახელმწიფოს მთავრობას სთხოვოს, რომ ამ საკითხში შემხვედრი პოზიცია დაიკავოს, სირაქლემის პოზა და მუდმივი წაყრუება კი არაფერს მოიტანს. რა გახდა, აქ ერთი კომპეტენტური ჯგუფის შექმნა, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურასთან კოორდინირებულად იმოქმედებს და ჰერეთის ელემენტარულ პრობლემებს ღირსეულად მოაგვარებს. თუ აქვე, ეს საკითხები დადებითად ვერ გადაწყდება, მაშინ რას ვეუბნებით ფერეიდნელ და ტაო-კლარჯელ ქართველებს? როდემდე უნდა გაგრძელდეს ქართული ბედოვლათობა ყველგან და ყველაფერში? ამ საკითხების ირგვლივ უნდა გაერთიანდეს ყველა. საინგილოს ქართული სკოლები შველას ითხოვს, განგაშის ზარები რეკენ, დახშული ყურები გამოიფხიკეთ, ბატონებო!

# ომი სირიაში — კითხვის ნიშნის ქვეშ

მირიან ლებანიძე
5-77-41-38-41

**პან გი მუნი და მისი წინამორბედნიც დიდი ხანია, ასეთი პრინციპულები არ ყოფილან: გაერო-ს გენერალური მდივანი არ შეუშინდა ბოლო დღეების ეიფორიას და წარმოადგინა მტკიცებულება, რომ ქიმიური იარაღით დაბომბილ უბანს საბჭოთა წარმოების ჭურვებს უშენდნენ, თუმცა უკან დასახევი გზა მაინც დაიტოვა: მასრები რუსული იყო, მაგრამ ქობინი არავინ იცის, სად და ვინ გააკეთაო. ახალი სკანდალის თემა მზადაა, მაგრამ რუსეთის მიერ შეთავაზებული სამშვიდობო ინიციატივის შემდეგ, საეჭვოა, იგი რომელიმე სახელმწიფომ გამოიყენოს.**



ობამას მარცხი და რუსეთის დიდ სცენაზე ტრიუმფით დაბრუნება

უკვე გადაწყვეტილია, რომ ამერიკა და მისი მოკავშირეები ბაშარ ალ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ძალას აღარ გამოიყენებენ — ჯერჯერობით მაინც. ასადის ხელისუფლების მტკიცებით, დამასკო საკუთარი ქიმიური იარაღის ჩამონათვალს უკვე ამზადებს. იგი საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარება. ნოემბრის ბოლომდე, სირიაში ექსპერტები ჩავლენ და 2014 წლის შუამდე ქიმიურ იარაღს მთლიანად გაანადგურებენ, სირია კი, ქიმიური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას მიუერთდება. ამგვარი შემობრუნება ყველასთვის შვებისმომგვრელი სიურპრიზი აღმოჩნდა. გერმანიის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა, ნატო-სა და გაერო-ს გენერალურმა მდივნებმა სასწრაფოდ დააფიქსირეს თავიანთი აღფრთოვანება.

და მაინც, ამერიკული და დასავლური მედია დუღს: ამერიკა და, შესაბამისად, მისი მოკავშირეები დამარცხდნენ, მათ რუსეთმა საკუთარი ნება მოახვია თავს. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში პირველად, ამერიკას აღარ ძალუძს საკუთარი ნების დამოუკიდებლად განხორციელება. უფრო მეტიც, სირიის საკითხში ლიდერი უკვე რუსეთია. დაბრუნდა ძველი დრო, როცა ორი ზესახელმწიფო ერთმანეთს აბალანსებდა.

ობამა, შტატებშიც და მის ფარგლებსგარეთაც, დაცინვის ობიექტია: **„ალბათ, ბარაკ ობამამ დამასკოელ დიქტატორ ბაშარ ასადზე ნაკლებად როდი ამოისუნთქა. მათ ხომ ორივეს თავის ყულფიდან გამოძრობა შეუძლია“,** — წერს გერმანული იე ძეიტ.

შეთანხმებამდე ორიოდე დღით ადრე კი, The Wall Street Journal-მა იწინასწარმეტყველა: **„აშშ-ს სუსტი და არათანმიმდევრული პრეზიდენტი ამერიკის მტრების მანიპულაციებს დაჰყვა და განაცხადა, რომ მისი სირიული პოლიტიკის მარცხი, სინამდვილეში, ტრიუმფია“.**

## ომი და მისი რისკები

დღეს პრეზიდენტსა და სახელმწიფო მდივანს მსხვილ დიპლომატიურ მარცხში ადანაშაულებენ, რის შედეგადაც, შტატებმა საერთაშორისო დონეზე დაკარგეს არნახულად მყარი პოზიციები, შეილახა მისი ავტორიტეტი, უღალატეს მოკავშირეებს და კვლავ წინ წამოწიეს რუსეთი, თუმცა ვაშინგტონისა და მისი მოკავშირეების, სირიის შემთხვევაში კი, უმთავრესად, პარიზის მიერ წამოწყებული ავანტიურა თავიდანვე განწირული იყო და უმთავრესად, იმიტომ, რომ თითქმის ორი წლის განმავლობაში ვერ გაერკვნენ ასადის ოპოზიციის არსში, ვერ აწონ-დაწონეს სამოქალაქო ომიდან და მისი შედეგებიდან გამომდინარე საფრთხეები, ვერ ჩამოაყალიბეს თავიანთი მიზნები და ამოცანები.

სირიაში „არაბული გაზაფხულის“ ცეცხლის გაჩაღებისთანავე, დასავლელი ექსპერტები: პოლიტოლოგები და ეკონომისტები საფრთხეების მთელ „თაიგულზე“ ალაპარაკდნენ: ქვეყნის ისლამიზაცია და ევროპის სიახლოვეს საერთაშორისო ტერორიზმის ახალი ბუდის შექმნა, რეგიონის გლობალურ რელიგიურ ომში ჩაბმა, ნავთობის გზების ბლოკირება და ახალი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

ისლამიზაციის საფრთხეზე ევროპასა და ამერიკას, თავდაპირველად, ასადი მიუთითებდა. იგი დღემდე ამტკიცებს, რომ ოპოზიციის უკან დგას „ალ ყაიდა“, „ძმები მუსულმანები“, „ალ-სურის ფრონტი“ და სხვები.

ფრანგული „ფიგაროსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ასადი სვამდა კითხვას: **„ფრანგი ერის წარმომადგენლები დაუჭერენ მხარს ექსტრემიზმსა და ტერორიზმს? დეპუტატები დადგებიან მათ მხარეს, რომლებიც საფრანგეთში უდანაშაულოებს ხოცავდნენ?“**

დასავლელი ექსპერტები აცხადებენ, რომ ევროპის 14 ქვეყნიდან ასადის ოპოზიციის მხარეს, დაახლოებით, 1 000 მოხალისე იბრძვის და მათგან 140 საფრანგეთიდანაა, ხოლო 120 — გერმანიიდან. უმეტესობა არაბული წარმოშობის ევროპელია, რომლებიც დღეს სირიაში „ალ ყაიდასა“ და მისი მსგავსი ორგანიზაციების რიგებში რადიკალური ისლამიზმის ბაცილებით იწამლებიან. ადრე თუ გვიან, ისინი სახლებში დაბრუნდებიან და ევროპაში ტერორიზმისა და ექსტრემიზმის ბუდეებს შექმნიან.

**„არა, ასადის ოპოზიცია, უმთავრესად, დემოკრატები არიან“,** — აცხადებდნენ ვაშინგტონელი ხელისუფალნი და მათი მოკავშირენი, მაგრამ ეგვიპტელი და ლიბიელი რევოლუციონერების მაგალითზე მათი მტკიცება არადამაჯერებლად ჟღერდა. ისინი სისასტიკეში ასადის მეომრებს რომ არ ჩამოუვარდებიან, მსოფლიომ ინტერნეტში ატვირთული ვიდეორგოლებიდან არაერთხელ იხილა. უკვე ეჭვიც აღარავის ეპარება, რომ სირიის მცირერიცხოვანი ქრისტიანული მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტით სწორედ ოპოზიციაა დაკავებული ანუ: ისინი რადიკალი ისლამისტები არიან და არა დემოკრატები.

რამდენიმე დღის წინ, ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტის, ელიზაბეტ ობეიგის ირგვლივ აგორებული სკანდალი ცხადყოფს, თუ რამდენად ზერელე შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი მძლავრი სახელმწიფოს მეთაურების მსჯელობაც კი, როგორიც ამერიკაა.

ობეიგი „სიენენ“-ისა და „ბიბისი“-ს ხშირი სტუმარი იყო და რეგულარულად აძლევდა ინტერვიუებს Wall Street Journal-საც. იგი აცხადებდა, რომ არაერთხელ იმყოფებოდა სირიაში და ამბოხებულებთან ასეულობით საათი აქვს გატარებული; რომ ისინი დემოკრატები არიან და ქვეყნის დასავლურ ყაიდაზე გარდაქმნა სურთ. მის სიტყვებს ამერიკელი პოლიტიკოსები ციტირებდნენ, რათა გაემყარებინათ სირიაზე სამხედრო დარტყმის აუცილებლობის იდეა... არადა, აღმოჩნდა, რომ 26 წლის ელიზაბეტი არასოდეს ყოფილა ახლო აღმოსავლეთში და სინამდვილეში, არც სამეცნიერო ხარისხი ჰქონია...

**„არ ვიცი, ვინ არიან სირიის ლიდერის იმიჯმეიკერები, მაგრამ მათ შეუძლიათ, ბარაკ ობამასა და ფრანსუა ოლანდის პიარის ხელმძღვანელებს რამდენიმე გაკვეთილი ჩაუტარონ. დღეს ისინი ბაშარ ასადსა და მის რუს მოკავშირე ვლადიმერ პუტინთან ახლოსაც ვერ მივლენ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ნამდვილი გროსმაისტერი აღმოჩნდა“,** — წერდა ფრანგული „ატლეტიკო“.

შესაძლოა, ისლამიზაციაზე მეტად დასავლეთში, ამერიკასა და რუსეთშიც ომის ეკონომიკური შედეგების ეშინოდათ. სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და შესაძლო ომის დაწყების საფრთხის დადგომისთანავე, ნავთობის ფასმა ერთბაშად აიწია. ექსპერტებმა გამოაცხადეს, რომ შავი ოქრო, მინიმუმ, 120 დოლარი ეღირება, უარეს შემთხვევაში კი, ბარელის ფასმა, შეიძლება, 150 დოლარსაც მიაღწიოს.

რუსეთში ექსპერტების ნაწილმა ტაში შემოჰკრა, რადგან ნავთობის გაძვირებამ ქვეყნის დეფიციტური ბიუჯეტი ერთბაშად პროფიციტულად გარდაქმნა. ამ ფონზე, უცნაური ჩანდა მოახლოებული ომის თაობაზე კრემლის მკვეთრად ნეგატიური პოზიცია. ცხადი იყო, რომ ვლადიმერ პუტინს ახლო აღმოსავლეთში ერთადერთი და ისტორიული მოკავშირის დაკარგვა არ სურდა. შესაძლოა, მოსკოვი საგარეო პოლიტიკურ მარცხზე მეტად დასავლელი, ამერიკელი და თვით რუსი ექსპერტების საშიშმა პროგნოზებმა დააფრთხო.

სირია რეგიონში უმნიშვნელოვანეს ნავთობსატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს. თავად სირია, 2011 წლის მონაცემებით, დღეში სულ 334 000 ბარელ ნავთობს მოიპოვებდა, რაც მსოფლიო ბაზრის 0,5%-ც კი არ იყო. სამოქალაქო ომის გამო, ეს მონაცემი 71 000-მდე შემცირდა, თუმცა, სირიაზე ან მის სიახლოვეს გადის უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების სატრანზიტო გზები. სირიაში სამხედრო დაპირისპირება ომში ისრაელის, ეგვიპტისა და ირანის ჩაბმის საფრთხესაც ზრდის.





**„იმ შემთხვევაში, თუკი სირიის კონფლიქტში ირანი ჩაერთვება, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, გადაკეტოს ორმუდის არხი, საფრთხეში აღმოჩნდება ნავთობის ექსპორტის 1/3, რომელიც ხორციელდება ამ არხის მეშვეობით. ხოლო თუ კონფლიქტი სირიის ფარგლებს გასცდება, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება სუეცის არხი და, შესაბამისად, ნავთობის წარმოება ერაყში“,** — წერდა The Wall Street Journal.

Societe Generale-ს ლონდონის ოფისის ანალიტიკოსი ელვინ ტანი აცხადებს, რომ ისეთ ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი და მექსიკა, ვალუტის კურსი ინტენსიურად ეცემა, რაც მეტყველებს ყოვლისმომცველ ტალღაზე.

ასევე სერიოზულ გავლენას მოახდენს სირიის კონფლიქტი ევროკავშირზეც, რომელიც მეტწილად, დამოკიდებულია რუსეთის ეკონომიკის ზრდის ტემპებზე. **„კონფლიქტი ძლიერ დაარტყამს მსოფლიოს საფონდო ბაზარზე და არ არის გამორიცხული, რუსეთის ბაზარმა იზარალოს ყველაზე მეტად“,** — აცხადებენ AForex-ის ანალიტიკოსები. ეკონომიკური კრიზისი კრიტიკულ ვითარებაში ჩააგდებს მსოფლიოს ყველაზე სწრაფად მზარდ ჩინურ ეკონომიკასაც, რომელიც მსოფლიო კრიზისიდან პირველი გამოვიდა.

JP Morgan-ის ინფორმაციით, უკვე სამ თვეზე მეტია, შეინიშნება კაპიტალის გადინება ფონდებიდან, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციებს ახორციელებენ. ყველაზე ხისტი რეაქცია ინვესტორებს აქვთ ისეთი სახელმწიფოების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ მაღალი სავაჭრო დისბალანსი და დიდი რაოდენობით უცხოური საგარეო ვალი. ასეთებია: ინდოეთი, ფილიპინები და თურქეთი. ეს იწვევს საფონდო ინდექსებისა და ნაციონალური ვალუტის კურსის დაცემას.

ბოლო პერიოდში, ამ ქვეყნებში საფონდო ინდექსები 10-15%-ით დაეცა, ხოლო ეროვნული ვალუტის კურსი, აშშ დოლართან მიმართებაში, რეკორდულ მინიმუმდე დავიდა. gazeta.ru წერდა: **„სირიაში მიმდინარე მოვლენების გამო, ნავთობმომპოვებელი ქვეყნები დაზარალდებიან“.** მსხვილ ინვესტორებს კაპიტალი განვითარებადი ბაზრებიდან გააქვთ და დებენ განვითარებული ქვეყნების ფასიან ქაღალდებსა და ოქროში, რომლის ფასი უკვე ორი თვეა იზრდება. ეს მსოფლიოს საფონდო ბაზრის დაცემას მოასწავებს, რამაც შესაძლოა, რუსეთისთვის ნავთობზე ფასების ზრდის სარგებელი გადაწონოს.

**„იმ შემთხვევაში, თუკი ასადის ხელისუფლება დაემხობა, რუსეთს უარესი შედეგები ელის. მსოფლიო ინდექსები აიწევს, ხოლო ნავთობის ფასი დაეცემა. ყველაზე მეტი დარტყმის ქვეშ მოექცევიან კომპანიები: Роснефть, ЛУКойл, და Газпром. ყატარს აქვს ყველა შანსი, დიდი ხნით შეავიწროოს ევროპაში Газпром-ის პოზიციები“,** — აცხადებენ ანალიტიკოსები.

დღეს ვარაუდის დონეზე შეიძლება იმის თქმა, რომ ამერიკაში ომის მომხრეებს ორი კურდღლის დაჭერა სურდათ: ნავთობმომპოვებელ რეგიონზე გავლენის დამყარება და რუსეთისა და ჩინეთის გზიდან ჩამოცილება, თუმცა რისკი იმდენად დიდი იყო, რომ ომის მოწინააღმდეგენი ამერიკულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებშიც უმრავლესობაში აღმოჩნდნენ.

თანაც, თუკი გლობალური ეკონომიკური კრიზისის საფრთხე ჰიპოთეზის დონეზე ითქვა, სავსებით რეალურად გაჟღერდა ანალიტიკოსების მიერ დათვლილი ხარჯები: ომის პირველი ფაზა თვეში 300 მილიონიდან 1 მილიარდ დოლარამდე დაჯდება, ხოლო მეორე ფაზა 5 მილიარდს მოითხოვს. აუცილებელი იქნება სირიაში 75 ათასი საზღვაო ქვეითის გადასროლა, რომლებმაც ქიმიური იარაღის საწყობები უნდა აღმოაჩინონ.

ოპოზიციონერი კონგრესმენები აცხადებდნენ, რომ ქვეყნის ისედაც მყიფე ეკონომიკას ასეთი ტვირთის ზიდვა აღარ შეუძლია.

## საყოველთაო დაბნეულობა და ომი, რომელიც არავის სურდა

ჯერ კიდევ ზაფხულში, მთავარი ამერიკელი იდეოლოგი ზბიგნევ ბჟეზინსკი ერთ-ერთ ინტერვიუში ეჭვქვეშ აყენებდა სირიელი მეამბოხეების მხარდაჭერის შესახებ 2012 წელს ამერიკის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორეს. ბჟეზინსკი ამბობდა, რომ ამერიკის ხელისუფლებას ნათლად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული მიზანი, თუ რისი მიღწევა სურდა ასადის წინააღმდეგ ბრძოლისას. ვაშინგტონმა

**აშშ-ს ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა განაცხადა მაისის დასაწყისში, როდესაც პრემიერ-მინისტრ ივანიშვილთან ერთად ლაბორატორიას სტუმრობდა: „ეს ქართული ობიექტია და მისი კონტროლი ახლა საქართველოს ხელისუფლებაზე გადადის, რომელიც განახორციელებს მის მართვას ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტებთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზით“.**

არც ის იცოდა, ასადის რეჟიმის დასამხობად, რამდენად შორის სურდა წასვლა. ნათელი იყო მხოლოდ ერთი: ობამას სირიელი დიქტატორის დამხობა ამერიკელი ჯარისკაცების მონაწილეობისა და დიდი დანახარჯების გარეშე ჰქონდა ჩაფიქრებული.

ანალოგიურად, დასავლეთევროპელი ლიდერებიც რეგიონში ჯარების გაგზავნისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, სამხედრო ხარჯების გაზრდის ენთუზიაზმით არ იწვოდნენ.

ამიტომ მოულოდნელი აღმოჩნდა საფრანგეთის პრეზიდენტის ინიციატივა სირიაში სამხედრო კამპანიის დაწყების თაობაზე, რასაც თავიდან, ბრიტანეთის პრემიერმაც დაუჭირა მხარი. მოვლენებიდან შორს დარჩენა არ ისურვა ობამამ და გაუგებარი განცხადებები გააკეთა სირიაში შეზღუდული მასშტაბების სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ. ისე გამოჩნდა, რომ ობამა ოლანდის ავანტიურაში გაება; თავად ოლანდმა კი ვერც საკუთარი ხალხისა და ვერც ევროპელი კოლეგების განწყობა ვერ გამოიცნო.

ანგელა მერკელმა ომის იდეა თავიდანვე დაიწუნა, კემერონმა განაცხადა — ამ საკითხს პარლამენტის გარეშე ვერ გადავწყვეტო. ოლანდს საფრანგეთის კონსტიტუცია უფლებას აძლევს, რომ საზღვრებსგარეთ სამხედრო ოპერაციის დაწყების ბედი პარლამენტის გარეშეც გადაწყვიტოს, მაგრამ მაინც დილემის წინაშე აღმოჩნდა: ფრანგების ორი მესამედი ომის წინააღმდეგია. მას ისიც გაახსენეს, რომ 2003 წელს ოპოზიციაში ყოფნისას, ხელისუფლებისგან ერაყის ომში მონაწილეობის საკითხის პარლამენტში გატანას ითხოვდა.

მას მოკავშირედ და იმედად ობამაღა დარჩა, რომელიც ომის დიდ სურვილს არც ამჟღავნებდა და თანაც, კონგრესში სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. მას სულზე მიუსწრო მოსკოვის ინიციატივამ სირიის ქიმიური იარაღისგან განიარაღების თაობაზე. **„ორშაბათს (9 სექტემბერს) პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესში დამარცხების პერსპექტივით გაილვიძა, რაც, როგორც ორივე პარტიაში მრავალნი ვარაუდობენ, მის პრეზიდენტობას წერტილს დაუსვამს, თუმცა დღის ბოლოს, რუსი კოლეგის, ვლადიმერ პუტინის წინაშე უცნაური დამოკიდებულების ქვეშ აღმოჩნდა“,** — წერს The New York Times.

## პუტინის ჩანაფიქრი

დღეს სენატორი მაკკეინი და რუსეთის მიმართ მტკიცე პოზიციის მქონე დემოკრატებიც ამბობენ, რომ ობამას უკან დახევა „არამზადა“ ასადთან თანამშრომლობას ნიშნავს. ებრაელი პოლიტოლოგი ილაი ზელცმანის აზრით, პუტინმა თავისი მოღვაწეობის განმავლობაში 3 ძირითადი ჩანაფიქრის განხორციელება შეძლო: რუსეთის სამხედრო მანქანის ყოველმხრივ გაძლიერება, მთელი რიგი რეფორმებისა და ღონისძიებების გატარება აშშ-ს სხვადასხვა გეგმების ჩასაშლელად და ამასთანავე, შემოიკრიბა ანტიამერიკული ძალები. ამ საკითხში მოსკოვისა და პეკინის აზრები ერთმანეთს ემთხვევა.

დღეს დასავლეთში რიგი ანალიტიკოსები გაჰკივიან, რომ მერყევი ობამასა და მისი ევროპელი კოლეგებისგან განსხვავებით, პუტინმა ყოველთვის იცის, რა უნდა და მიზანს როგორ მიაღწიოს.

## ამერიკა-რუსეთის შეთანხმების საეჭვო მხარეები და საქართველო

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი დღემდე იმეორებდა ბაშარ ასადის ვერსიას, რომ ქიმიური შეტევის კადრები ფალსიფიკაცია იყო. გაერო-ს დასკვნის შემდეგ ალბათ, იგი თითს ისევ ოპოზიციისკენ გაიშვერს, თუმცა ამერიკაშიც ეჭვობენ, რომ ქიმიურ იარაღს, ასადის გარდა, ოპოზიციაც ფლობს. ორი ზესახელმწიფოს შეთანხმებამ ომი დროებით მაინც გადაავადა, მაგრამ უკვე დღის წესრიგშია ახალი პრობლემა: ამერიკაში ეჭვობენ, რომ სირიის ქიმიური იარაღისგან გაწმენდა ვერ მოხერხდება.

The National Interest-ის ვარაუდით, ასადმა ქიმიური იარაღის აკრძალვის ხელშეკრულებაზე მიერთება, მხოლოდ და მხოლოდ, ავიადარტყმებისა და ინტერვენციის შესაჩერებლად გადაწყვიტა, თორემ ქიმიური იარაღის დათმობას არ აპირებს. დოკუმენტის რატიფიცირებას ერთი თვე დასჭირდება. სირიაში ქიმიური საწყობების დასათვალიერებლად კი ექსპერტები ნოემბერში უნდა ჩავიდნენ. ასადს იარაღის გადასამალად დიდი დრო აქვს.

ამასთან, ასადი გააგრძელებს საკუთარი ხალხის ხოცვას, მაგრამ „ჩვეულებრივი“ იარაღით. მან იცის, ამერიკასა და ევროპას ომის თაობაზე გადაწყვეტილების ხელახლა მიღება წინანდელზე მეტად გაუჭირდებათ.

ამასთანავე, არსებობს საფრთხე, რომ ასადმა თავად შეძლოს რეალობის ფალსიფიცირება და ქიმიური იარაღის მეამბოხეთა მიერ გამოყენების ფაქტების მოძიება.



გაერო-ს დასკვნის შემდეგ კომიკური ჩანს ამერიკის თავდაცვის მდივნის ჩაწიხვლის ფაქტი. მან, ამას წინათ, კონგრესში დამასკოს ქიმიური იარაღით მომარაგებაში რუსეთი დაადანაშაულა, რაც ვაშინგტონმა სასწრაფოდ და კატეგორიულად უარყო. არადა, ფაქტია, რომ 80-იან წლებში სირიამ, ისრაელთან მორიგი სამხედრო მარცხის შემდეგ, ქიმიური იარაღი სწორედ სსრკ-დან მიიღო.

რუსულ პოზიციას, რომ სირიაში ქიმიურ იარაღს ოპოზიცია იყენებს, საეჭვოდ დაემთხვა ამერიკული ორგანიზაცია Veterans Today-ს მტკიცება: ქიმიური იარაღი სამოქალაქო კვარტლებს მეამბოხეებმა დაუშინეს და იგი ამერიკელების ხელშეწყობით თურქეთის არმიის ქვედანაყოფებმა საქართველოდან, ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიიდან ჩაიტანესო. ეგრეთ წოდებული ალექსეევკის ლაბორატორია ამერიკული დაფინანსებით 2011 წელს შეიქმნა და მას შემდეგ მოსკოვის სამიზნეა. ზაფხულში „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკო ამტკიცებდა, რომ ლაბორატორიას „ძლიერი შეტევითი პოტენციალი“ აქვს და „ეს ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენციის პირდაპირი დარღვევაა“.

Veterans Today-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიას საქართველოში ამერიკის საელჩომ არასანდო უწოდა და ელჩმა განაცხადა, რომ ლაბორატორიის გახსნა ამერიკის მიერ საქართველოში განხორციელებული ყველაზე დიდი და სასიკეთო პროექტია.

პრინციპში, მან ისიც დაამატა, რომ ლაბორატორია ქართველების ხელშია და არა ამერიკელების, ამიტომ თუკი მოსკოვის ნებით ან სხვა მიზეზებით სირიაში არსებული ქიმიური იარაღი რამენაირად კვლავ მიებმება საქართველოს, მოსკოვისა და მსოფლიოსთვის პასუხის გაცემა თბილისს ერთი-ერთზე მოუწევს. ხოლო თუ ამერიკას აქვს უფლება, ქიმიური იარაღისგან სირია ძალით და გაერო-ს ნებართვის გარეშე გაწმინდოს, უკვე გასაგებია, რუსეთი რა უფლებებსაც მოითხოვს და რატომ უკავშირდება ლაბორატორია და სირიელი ამბოხებულები ერთმანეთს.

# ს უ დ ო კ უ მ ა ნ ი ა

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 2 | | 9 | | | |
| 9 | | | | 6 | | | | |
| 5 | | 4 | | | | 1 | 6 | |
| 7 | | | | 4 | | | 2 | |
| | | 2 | 9 | | 7 | 6 | | |
| | 5 | | | 3 | | | | 7 |
| | 8 | 9 | | | | 4 | | 5 |
| | | | | 9 | | | | 3 |
| | | | 3 | | 1 | | 9 | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 9 | | | | | |
| | | | 6 | | | | | |
| | 3 | 2 | | | 8 | | 9 | 6 |
| 4 | | 3 | 5 | | 7 | | | 8 |
| | | 5 | | | | 9 | | |
| 7 | | | 8 | | 2 | 5 | | 3 |
| 8 | 9 | | 3 | | | 1 | 5 | |
| | | | | | 9 | | | |
| | | | | | 5 | 7 | | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 4 | 8 | |
| | 2 | | 8 | | 7 | | | |
| 9 | 8 | | 5 | | | | 2 | |
| | | 3 | | | 2 | | 7 | |
| 8 | | | 7 | | 6 | | | 5 |
| | 7 | | 9 | | | 1 | | |
| | 9 | | | | 5 | | 1 | 6 |
| | | | 6 | | 1 | | 3 | |
| | 3 | 6 | | | | | | |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | | 5 | 9 | | | 8 | 7 |
| | | | | 3 | | | | 4 |
| | 9 | | | | 7 | | | |
| 1 | | | | | 8 | | 2 | |
| | | 8 | | 5 | | 7 | | |
| | 7 | | 4 | | | | | 5 |
| | | | 9 | | | | 4 | |
| 9 | | | | 2 | | | | |
| 7 | 2 | | | 4 | 1 | | 6 | 9 |



# ამერიკელები ანტიდეპრესანტებს მიეძალნენ

მედიკოსები სულ უფრო მეტ ამერიკელს უნიშნავენ ანტიდეპრესანტებს, მაგრამ თვითმკვლელობის რიცხვი მაინც არ იკლებს. დეპრესიის საწინააღმდეგო პრეპარატები სჭირდება თითქმის ყველა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელს, რისკჯგუფში კი უფრო ხშირად ხვდებიან არასრულწლოვანი პაციენტებიც. კლინიკური გამოკვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ბავშვებსა და მოზარდებში ანტიდეპრესანტების მიღების შემდეგ, თვითმკვლელობაზე ფიქრის რისკი იზრდება.



# ყველაზე ბედნიერი ქვეყნები დაასახელეს



გაერო-მ ბედნიერი ქვეყნების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. ამჯერად, ლიდერის პოზიციები დანიამ, ნორვეგიამ, შვეიცარიამ, ნიდერლანდებმა და შვედეთმა დაიკავეს. სიაში 150 ქვეყანაა, რეიტინგის შედგენაში კი ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, სტატისტიკისა და სხვა მეცნიერული დარგების სპეციალისტები მონაწილეობდნენ. ექსპერტებმა შეფასების კრიტერიუმად ექვსი ძირითადი ფაქტორი აირჩიეს: შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, ახლობლების მხარდაჭერის იმედი, თავისუფლება გადაწყვეტილებების მიღებისას, კორუფციის დონე და დიდსულოვნება. წელს ფინეთმა საპატიო მესამე ადგილი შვეიცარიას დაუთმო და თავად მეშვიდე პოზიციაზე გადაინაცვლა. ბედნიერი ქვეყნების ათეულში მოხვდა ასევე კანადა, ავსტრია, ისლანდია და ავსტრალია. ისრაელი მე-11 ადგილზე გავიდა, ბედნიერი ქვეყნების მეორე ათეულში კი ამერიკის შეერთებული შტატები და ახალი ზელანდია შევიდა, მე-20 პოზიციაზე ვენესუელაა. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ყველაზე ბედნიერად მოლდოვა მიიჩნიეს, ის 53-ე ადგილზეა, საქართველო კი, შარშანდელთან შედარებით, 12 პოზიციით დაწინაურდა და რეიტინგში 134-ე ადგილი დაიკავა.

# ინტერნეტში დეზინფორმაციის გავრცელებისთვის დააპატიმრებენ



ჩინეთში ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც სისხლის სამართლის სასჯელს, თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს მათ მიმართ, ვინც ინტერნეტში ჭორებსა და ცრუ ინფორმაციას ავრცელებს. ახალი კანონი ტყუილის ავტორს პასუხს აგებინებს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ქსელში პოპულარობას მოიპოვებს. ასე მაგალითად, დეზინფორმატორს, თუკი 500-მდე გამოხმაურებას მიიღებს, სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ახალი კანონის შემოღება ინტერნეტში „უპასუხისმგებლო ჭორებზე“ საზოგადოების რეაქციით ახსნეს. აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელში ჭორების წინააღმდეგ ბრძოლა რამდენიმე თვის წინ დაიწყო, ახალი პრეზიდენტის მოსვლიდან მოკლე ხანში. ბოლო კვირებში ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის ასობით ადამიანი დაკითხეს და დააპატიმრეს კიდეც.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 2 | 4 | 1 | 9 | 8 | 5 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 7 | 5 | 2 | 3 | 1 | 9 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 3 | 6 | 4 | 2 | 7 |
| 2 | 5 | 7 | 6 | 9 | 4 | 1 | 8 | 3 |
| 1 | 9 | 8 | 5 | 2 | 3 | 7 | 6 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 1 | 8 | 7 | 5 | 9 | 2 |
| 3 | 7 | 1 | 2 | 6 | 8 | 9 | 4 | 5 |
| 9 | 2 | 5 | 3 | 4 | 1 | 6 | 7 | 8 |
| 8 | 6 | 4 | 9 | 7 | 5 | 2 | 3 | 1 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 4 | 8 | 3 | 1 | 5 | 7 | 9 |
| 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 5 | 1 | 9 | 2 | 7 | 8 | 4 | 6 |
| 9 | 1 | 2 | 3 | 8 | 6 | 7 | 5 | 4 |
| 7 | 8 | 5 | 4 | 1 | 2 | 9 | 6 | 3 |
| 4 | 3 | 6 | 7 | 9 | 5 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 4 | 9 | 1 | 7 | 8 | 6 | 3 | 5 |
| 1 | 7 | 3 | 5 | 6 | 9 | 4 | 8 | 2 |
| 5 | 6 | 8 | 2 | 4 | 3 | 1 | 9 | 7 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 5 | 2 | 9 | 1 | 8 | 4 | 7 |
| 8 | 9 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 2 | 1 | 3 | 8 | 7 | 9 | 6 | 5 |
| 7 | 5 | 3 | 8 | 4 | 2 | 6 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 3 | 6 | 4 | 5 | 8 |
| 6 | 4 | 8 | 5 | 1 | 9 | 2 | 7 | 3 |
| 5 | 3 | 2 | 6 | 7 | 8 | 1 | 9 | 4 |
| 1 | 8 | 6 | 9 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 |
| 9 | 7 | 4 | 1 | 2 | 3 | 5 | 8 | 6 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 7 | 5 | 9 | 8 | 6 | 1 | 4 |
| 1 | 4 | 9 | 7 | 2 | 6 | 8 | 3 | 5 |
| 5 | 8 | 6 | 1 | 4 | 3 | 2 | 9 | 7 |
| 9 | 7 | 1 | 3 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 8 | 6 | 2 | 4 | 1 | 9 | 5 | 7 | 3 |
| 4 | 5 | 3 | 6 | 7 | 2 | 1 | 8 | 9 |
| 2 | 1 | 8 | 9 | 3 | 4 | 7 | 5 | 6 |
| 7 | 3 | 5 | 2 | 6 | 1 | 9 | 4 | 8 |
| 6 | 9 | 4 | 8 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 |

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 9 | 7 | 2 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 8 | 7 | 6 | 1 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 |
| 5 | 4 | 2 | 3 | 6 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 4 | 6 | 1 | 5 | 9 | 7 | 2 | 3 | 8 |
| 2 | 3 | 8 | 6 | 1 | 4 | 9 | 7 | 5 |
| 9 | 5 | 7 | 8 | 3 | 2 | 4 | 6 | 1 |
| 1 | 2 | 5 | 4 | 8 | 6 | 7 | 9 | 3 |
| 7 | 9 | 4 | 2 | 5 | 3 | 8 | 1 | 6 |
| 6 | 8 | 3 | 9 | 7 | 1 | 5 | 4 | 2 |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1 | 8 | 3 | 9 | 2 | 6 | 7 | 5 |
| 5 | 7 | 3 | 6 | 1 | 8 | 4 | 9 | 2 |
| 6 | 2 | 9 | 5 | 7 | 4 | 8 | 1 | 3 |
| 2 | 9 | 6 | 7 | 8 | 5 | 3 | 4 | 1 |
| 3 | 8 | 5 | 4 | 2 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 7 | 4 | 1 | 9 | 6 | 3 | 2 | 5 | 8 |
| 1 | 6 | 2 | 8 | 5 | 9 | 7 | 3 | 4 |
| 9 | 5 | 4 | 2 | 3 | 7 | 1 | 8 | 6 |
| 8 | 3 | 7 | 1 | 4 | 6 | 5 | 2 | 9 |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 5 | 1 | 4 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 8 | 4 | 6 | 5 | 7 | 2 | 3 | 9 | 1 |
| 7 | 3 | 9 | 8 | 1 | 6 | 5 | 4 | 2 |
| 6 | 2 | 8 | 3 | 9 | 1 | 7 | 5 | 4 |
| 5 | 1 | 4 | 7 | 2 | 8 | 9 | 6 | 3 |
| 3 | 9 | 7 | 6 | 4 | 5 | 2 | 1 | 8 |
| 4 | 8 | 5 | 2 | 6 | 7 | 1 | 3 | 9 |
| 1 | 7 | 3 | 9 | 8 | 4 | 6 | 2 | 5 |
| 9 | 6 | 2 | 1 | 5 | 3 | 4 | 8 | 7 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 6 | 3 | 4 |
| 4 | 8 | 3 | 6 | 9 | 2 | 7 | 1 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 9 | 8 |
| 8 | 9 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 5 | 6 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 | 7 |
| 1 | 4 | 2 | 7 | 8 | 3 | 5 | 6 | 9 |
| 9 | 2 | 4 | 3 | 7 | 8 | 1 | 5 | 6 |
| 6 | 3 | 1 | 9 | 4 | 5 | 8 | 7 | 2 |
| 5 | 7 | 8 | 1 | 2 | 6 | 9 | 4 | 3 |

მე-13 გვერდი: 1. ხონთქარი; 2. კლარნეტი; 3. ხანძარი; 4. ნიმბი; 5. ქეთელაური; 6. ალკოჰოლი; 7. ნეპოტიზმი; 8. ტილი; 9. იეროგლიფი; 10. ლოუ; 11. თუმანი; 12. კოპალა; 13. იზაურა; 14. ეტლი; 15. ტუზი; 16. ორე; 17. კოალა; 18. „ლაილაი“; 19. ჰიტი; 20. ლემუელი; 21. რიუკიუ; 22. პუნქტუაცია; 23. კანა; 24. „ლიზა“; 25. ბზე; 26. ტრიო; 27. მოკასინი; 28. აბაკი; 29. ერი; 30. გოპაკი; 31. ალუ; 32. ტინა ტერნერი; 33. ამინ; 34. ნუნცია; 35. ბრი; 36. იროკეზები; 37. თმა; 38. იოტა; 39. ნანტი; 40. ნაირობი; 41. რიო; 42. არტისტიზმი; 43. დასტა; 44. ათენა; 45. ირბისი; 46. კარლეს; 47. „ოკა“; 48. კამპანელა; 49. „ტურანდოტი“; 50. „ქვინი“; 51. ცაგერი; 52. იაჰვე; 53. ენა; 54. მგოსანი; 55. კისკისი; 56. ტასო; 57. ბრასი; 58. კეცი; 59. ჰესე; 60. მომზენი; 61. ნისტატინი; 62. მე; 63. ტიფონი; 64. იაგო; 65. აბო; 66. გენია; 67. რატი; 68. ოფი; 69. იკრა; 70. ერნესტო; 71. ოზი; 72. ბრიყვი; 73. „აეკი“; 74. ანი; 75. ნესი; 76. ბრემ; 77. მნათე; 78. იო; 79. ლი; 80. უნა; 81. „ტიიდა“; 82. ათი; 83. ლაყე; 84. ანუი; 85. ლენა.

1. ბავშვთა ინფექციური დაავადება
2. შუადღის პურის ჭამა
3. ფარსმან სპარსის გვარი „დიდოსტატის მარჯვენაში“
4. წყალქვეშა ჭურვი
5. თბილისის ცენტრალური უბანი
6. სმენის გასავითარებელი ვოკალური ვარჯიში
7. პირი, რომელიც პირველად გამოდის სცენაზე
8. ნელი ტემპი მუსიკაში
9. ბეჭედში ჩასმული ჩუქურთმიანი ქვა
10. იტალიელი მხატვარი და მოქანდაკე
11. ინდიელთა შხამი
12. კაკლის გულის ნახევარი
13. გრძელი ოთხთვლიანი სამგზავრო ეტლი
14. თბილისში დაბადებული რუსი რეჟისორი
15. წყლის გრაციოზული ფრინველი
16. „ფოლკსვაგენის“ მოდელი
17. ვეტერინარი ჩუკოვსკის ზღაპარში
18. მიმართვა ესპანელი მამაკაცისადმი
19. ფრანგი მსახიობი ოდრი ...
20. ლურჯის მომდევნო ფერი ცისარტყელაში
21. მდინარე ყაზახეთსა და ჩინეთში
22. წყლის მცენარე, „წყლის ჭირი“
23. „აწიე!“ – პორტის მუშების სლენგზე
24. საბანკო შეტყობინება
25. ბეისბოლის მსგავსი თამაში რუმინეთში
26. საცალფეხო გზა
27. ჰოლივუდის ვარსკვლავი ... რივზი
28. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია
29. იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელი
30. დეკორატიული ბალახოვანი მცენარე
31. ტილოს ფარდული
32. დუნაის შენაკადი
33. პანიკის გამავრცელებელი ადამიანი
34. ფერიას ბერძნული შესატყვისი
35. ხის დასამუშავებელი ინსტრუმენტი
36. საფრანგეთის ყველაზე გრძელი მდინარე
37. ქალაქი საფრანგეთში
38. კავკასიის მთიელთა სოფელი
39. ბურთის ჩაწოდების ხერხი რაგბურთში
40. ნაციონ. საკალათბურ. ასოციაცია (შემოკლ.)
41. ჰოლანდიის სიმბოლოდ აღიარებული ყვავილი
42. ირლანდიის რესპუბლიკური არმია (შემოკლ.)
43. საქართველოს უდიდესი ტბა
44. ქვანახშირის მრეწველობის ცენტრი საქართველოში
45. სქელი ქაღალდი
46. დავით აღმაშენებლის ბაბუის სახელი
47. პირის ღრუს განგრენული წყლული
48. ლომი სიმბას მეუღლე
49. გარდაცვლილის სული ჩინურ მითოლოგიაში
50. რამდენიმე მუსიკალური ბგერის თანაჟღერადობა
51. მიკროსკოპის ობიექტივის ნაწილი
52. ოდისევსის ლათინიზირებული ფორმა
53. ჯამის ფორმის სასმისი
54. ცომში გახვეული ფარში
55. დედამიწის ზედაპირის ბრტყელი გამოსახულება
56. მიწათმოქმედების ქალღმერთი ბერძ. მით.
57. მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში
58. ყვითელი მინერალური საღებავი
59. ავსტრიის დედაქალაქი
60. ძვ. ქართული წონის ერთეული
61. ირლანდიური გვარების წინსართი
62. ბოლივიის საკონსტიტუციო დედაქალაქი
63. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი მონაცვლეობა
64. სპორტ. ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა
65. საქონლის შესაფუთი მასალა
66. წყალსაცავი დუშეთის რაიონში
67. სამელექტროდიანი ელექტრონული მილაკი
68. შოკოლადის დასამზადებელი მასალა
69. ხელოვნური ენა
70. მამალი თხა
71. ცეცხლის მნათი ნაწილი
72. ბრძანება: „ნაბიჯით ...!“
73. ნ. დუმბაძის რომანი „... გეშინია, დედა!“
74. ინდუისტური ღვთაება ვიშნუს მეშვიდე ავატარა (განსახიერება)
75. გულიდან სისხლის მიმწოდებელი სისხლძარღვი
76. მუსიკალური გამის III ნოტი
77. ყოფილი ირლანდიელი ფეხბურთელი ... კინი
78. ფუჭი, უშედეგო
79. ფულის ერთეული საბჭოთა საქართველოში
80. შლამის თევზი
81. მამალი ცხენი
82. თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი
83. კუბური ცეკვა
84. ძვ.ქართ. სიგრძ. ერთ.
85. ისტორიული ქვეყანა მცირე აზიაში
86. სოფელი ადიგენის რაიონში







## მამაკაცი სუპერმენად იქცა

სუპერმენის ფილიპინელმა ფანმა ჰერბერტ ჩავესმა 13 პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, რათა საყვარელ გმირს დამსგავსებოდა. 35 წლის მამაკაცმა, ექიმების დახმარებით, შეიცვალა ცხვირი, ყბების ფორმა, ჩაიტარა ლიპოსაქცია, გაითეთრა კანი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოეწყო პოპულარული გმირის კოსტიუმში. ჩავესმა სუპერმენი ტელევიზიით პირველად ხუთი წლის ასაკში ნახა და მას შემდეგ, მთელი ცხოვრება იმას მიუძღვნა, როგორმე საყვარელ გმირს დამსგავსებოდა. პლასტიკური ოპერაციები, დახლოებით, 10 ათასი დოლარი დაუჯდა, რაც ფილიპინებზე უზარმაზარ თანხად ითვლება. ახლა მამაკაცი დახეტიალობს მშობლიური ქალაქის ქუჩებში სუპერმენის კოსტიუმით გამოწყობილი და ასობით ადამიანის ყურადღებას იპყრობს. გარდა გარეგნული მსგავსებისა, ჩავესი იმითაცაა ცნობილი, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლექცია აქვს სუპერმენის სუვენირებისა.



# ჰოროსკოპი
## 18 სექტემბერი

**ვერძი** — ვერძებს აღმაფრენა ელის, რაც პირად ცხოვრებას უკავშირდება. შეგიძლიათ, სწორედ ახლა შეცვალოთ მოვლენები, თანაც თქვენს სასარგებლოდ. ურთიერთობები, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი წერტილიდან დაიძვრება. არ არის გამორიცხული პერსპექტიული ახალი ნაცნობობაც.

**კურო** — კარგი ამბავი სასიამოვნოდ გაგაოცებთ, რომელსაც დღის დასაწყისში შეიტყობთ. ეს ინფორმაცია მატერიალურ სარგებელსაც გპირდებათ. მთავარია, ყველაფერი ცივი გონებით გაანალიზოთ და გადაწყვეტილებებიც მოვლენების შესაბამისად მიიღოთ.

**ტყუპები** — შესაძლოა, უკმაყოფილო დარჩეთ კოლეგების ან ნაცნობების საქციელით, მაგრამ ეს მხოლოდ დღევანდელი მოვლენების გამოძახილი იქნება. შეეცადეთ, გონივრულად მიუდგეთ საკითხს და არ გაიფუჭოთ ურთიერთობა გარშემომყოფებთან.

**კირჩხიბი** — საქმეებმა, შესაძლოა, მოვლენების მორევში ჩაგითრიოთ. მოგიწევთ, დიდი დრო დაუთმოთ სამსახურს, მაგრამ აუცილებლად უნდა შეისვენოთ, რაც კარგ განწყობას შეგინარჩუნებთ.

**ლომი** — მხოლოდ იღბალს ნუ მიენდობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდებით. მხოლოდ საკუთარი თავის იმედი გქონდეთ და ენდეთ ინტუიციას. რაც მეტ ძალისხმევას გამოიჩენთ, ნებისმიერ საქმეში, წარმატების მით მეტი შანსი გექნებათ.

**ქალწული** — კარგი დღეა პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისთვის, ბიზნესის გაფართოებისა და საჭირო ადამიანების გაცნობისთვის. წარმატებული ის საქმეები აღმოჩნდება, რაც ფინანსებსა და ოჯახს უკავშირდება, თუმცა ბევრი რამ სწორი აქცენტების გაკეთებაზე იქნება დამოკიდებული.

**სასწორი** — ორატორული ოსტატობის გააქტიურებას უნდა ელოდეთ. შეგიძლიათ, წარმატებით წარდგეთ აუდიტორიის წინაშე. ადამიანები ყოველ სიტყვას ყურადღებით მოისმენენ და თქვენს დასკვნებს დაეთანხმებიან. კარგი იქნება, თუ ამ შესაძლებლობას ჩინოვნიკებთან გამოიყენებთ.

**ღრიანკალი** — პირად საქმეებს პროფესიული ინტერესები გადაწონის. ახლა სწორედ ასე უნდა მოიქცეთ. პირადული სხვა დროისთვის გადადეთ, ახლა კი სცადეთ, დასახული საქმიანი გეგმების რეალიზება.

**მშვილდოსანი** — კარგი იქნება, თუ ნათესავებსა თუ მეგობრებს მოინახულებთ. ვითარება თქვენგან ახლობელი ადამიანის ცხოვრებაში უშუალო ჩარევას მოითხოვს. შეეცადეთ, სხვებს გაუგოთ, ასე თავსაც უკეთ შეიცნობთ.

**თხის რქა** — ახალი ინფორმაცია, რომელსაც შუადღისკენ მიიღებთ, დაგეხმარებათ, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესოთ ცხოვრების ხარისხი. ამ ცნობას ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოეკიდეთ, მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგეპაროთ.

**მერწყული** — შესაძლოა, თქვენი „კეთილისმსურველები“ გააქტიურდნენ და შეეცადონ, ყველაფერში ხელი შეგიშალონ, თუმცა მათი მცდელობის მიუხედავად, მაინც მოახერხებთ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**თევზები** — საცვსებით შესაძლებელია, თაყვანისმცემლისგან სიყვარულის აღიარება მოისმინოთ. იყავით კეთილგონიერი და შექმნილი ვითარება ობიექტურად შეაფასეთ.

# ვიტრინებს ჭარბწონიანი მანეკენებით დაამშვენებენ



ნისლიან ალბიონზე მაღაზიების მეპატრონეები იძულებულნი არიან, ვიტრინებისთვის ჭარბწონიანი მანეკენები შეიძინონ. შესაბამის კანონპროექტზე ბრიტანელი კანონმდებლები და ფსიქოლოგები მუშაობენ. ოფიციალური სტატისტიკით, მსოფლიოში უამრავი ადამიანი, განსაკუთრებით კი, 30 წელს ზემოთ ასაკის ქალები ჭარბ წონას უშედეგოდ ებრძვიან, იმატა თვითნებური დიეტის შედეგად დაავადებულ მანდილოსანთა რაოდენობამ, ფსიქოლოგებს კი განსაკუთრებით აღელვებთ თინეიჯერი გოგონების ბედი — ვიტრინებში ტანწერწეტა მანეკენებზე მორგებულ ტანისამოსში რომ ჩაეტიონ, ბევრი თანახმაა, ანორექსიით დაავადდეს. ბრიტანეთში ტანსაცმლის თითქმის ყველა მაღაზიას უკვე გაეწია რეკომენდაცია, რომ ვიტრინებში გამოფენილი სუპერმოდელის სტანდარტის მანეკენები ჭარბწონიანებით შეცვალონ. შემოწმდება სამკერვალო სალონებიც, რათა გაირკვეს, იკერება თუ არა ყველა აღნაგობის ქალისთვის ერთი და იგივე კოლექცია. როგორც წესი, ბრენდების სამოსი მხოლოდ მოდელებს ან ძალიან გამხდარ გოგონებს თუ ერგებათ. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ნისლიან ალბიონზე ჯანსაღი კვების აქციის ფარგლებში ხორციელდება.



# ჰოროსკოპი
## 19 სექტემბერი

**ვერძი** — საღამო ოჯახურ კავშირს უფრო ჰარმონიულს გახდის. გადაჭარბებულმა ამპარტავნობამ და იმპულსურობამ, შეიძლება, ნაჩქარევი ნაბიჯები გადაგადგმევინოთ, თუმცა დღე მაინც შესანიშნავი იქნება და ყველა საქმეში წარმატება გელით.

**კურო** — საქმიან შეხვედრებს ნუ დაგეგმავთ და მივლინებაც გადადეთ. თუ არ აჩქარდებით, საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება მოგეცემათ. დღეს ფორტუნა არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების მხარესაა.

**ტყუპები** — არ არის გამორიცხული, მოულოდნელი წინადადება მიიღოთ ან ძველ ბიზნესპარტნიორს შეხვდეთ. იმ ადამიანების მხარდაჭერასაც იგრძნობთ, ვინც აქამდე თქვენი მოკავშირე არ ყოფილა.

**კირჩხიბი** — არავითარ შემთხვევაში არ დაკარგოთ სიმშვიდე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ კამათს საყვარელ ადამიანთან, როგორი რთულიც უნდა მოგეჩვენოთ ეს. საქმიან მოლაპარაკებასაც ნუ დანიშნავთ, რადგან ის უშედეგოდ დასრულდება.

**ლომი** — არახელსაყრელი დღეა ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია სიტუაციის ყურადღებით გაანალიზება. დაგეგმეთ დასვენება, საყვარელ ადამიანთან ერთად დროის გატარება კი სიმშვიდეს მოგგვრით.

**ქალწული** — შესაძლოა, საკუთარი ილუზიებისა და ოცნებების ტყვეობაში აღმოჩნდეთ, თუმცა ეს ხელს არ შეგიშლით, თქვენი აზრები თანმიმდევრული იყოს. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ გარშემომყოფებთან ურთიერთობაში ბევრ პრობლემას წააწყდებით, ხოლო თუ კომპრომისზე არ წახვალთ, სიტუაცია უკიდურესობამდე შეიძლება გამწვავდეს.

**სასწორი** — სასწორებს უფროსობასთან კამათი ელით. მოერიდეთ მემკვიდრეობის საკითხების განხილვას, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაღიზიანებისა და წყენის გარდა, არაფერს მიიღებთ. დღეს არც სასიყვარულო ურთიერთობებში გელით წარმატება.

**ღრიანკალი** — უკვე მოძველებული პრობლემების გადაჭრისთვის რამე საინტერესო ხერხი მოიფიქრეთ. არ ღირს მოდუნება, რადგან გონებამახვილობა მთელი დღის განმავლობაში გესაჭიროებათ. ქრონიკული დაავადებების მქონეებს, შესაძლოა, მდგომარეობა გაურთულდეთ. მხოლოდ სიცოცხლის წყურვილი და ძალების კონცენტრაცია შეცვლის ვითარებას უკეთესობისკენ.

**მშვილდოსანი** — სამსახურში მეტი სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ. გახსოვდეთ — ოცნებები რეალობას უნდა შეესაბამებოდეს. საპირისპირო სქესთან ურთიერთობაში წარმატება გელით. მოსალოდნელია ძველი სასიყვარულო ურთიერთობების განახლება.

**თხის რქა** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღე სულიერ წონასწორობასა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას ჰპირდება. საქმეებიც დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, პრობლემების უმრავლესობა მარტივად მოგვარდება. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობები კი ჰარმონიული.

**მერწყული** — უსიამოვნო დღეა, რომელიც თქვენგან სიმტკიცესა და გამძლეობას მოითხოვს. დაწყებულ საქმეს დიდი ძალისხმევა, გადაწყვეტილების სწრაფად მიღება სჭირდება. ემოციური გადატვირთულობის მიუხედავად, მაინც შეძლებთ ყველა წინააღმდეგობის გადალახვას, რაშიც საქმისადმი არასტანდარტული მიდგომა დაგეხმარებათ.

**თევზები** — კარგი დღეა ცვლილებებისთვის პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბევრი ისეთი ადამიანისგან იგრძნობთ მხარდაჭერას, ვინც ადრე თქვენგან შორს იდგა. არ არის გამორიცხული, სამუშაოდ დღეს ჩვეულებრივზე მეტი ყურადღება და ძალისხმევა მოითხოვოს, თუმცა შედეგი ამად ღირს.

# ჩინელი ქალები „მეორე სახეს“ ირგებენ



ასაკობრივი ნაოჭების მოსაშორებლად, პლასტიკური ქირურგების მომსახურება რომ არ დაგჭირდეთ, ჩინელმა დიზაინერმა ჟუოინგ ლიმ შექმნა — Uniface-ის ნიღაბი, გრძელი წამწამებით, დახვეწილი ცხვირითა და ნიკაპით — რომელიც სახეს ერგება. ჩინელი ქალები მას მაშინ ირგებენ, როცა დილით სამსახურში აგვიანდებათ და მაკიაჟის გაკეთებას ვეღარ ასწრებენ. ნიღაბი სახეზე იჭიმება და შეუმჩნეველია, თუმცა მისი მოხსნა მხოლოდ პროფესიონალურ კლინიკებშია შესაძლებელი Uniface-ის ექსპერტების მიერ. თუ ნიღაბი დისკომფორტს კლიენტს პირველივე თვეს შეუქმნის, მისი მოხსნა უფასოა. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი, „მეორე სახის“ მოშორება უკვე 59 დოლარი ღირს. ნიღბიანი სახის დაბანა სპეციალური საშუალებებითაა შესაძლებელი და 399 დოლარი ღირს.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | 2 | 1 | | |
| | | | 6 | | | | 5 | |
| | | 5 | | 7 | | | 3 | |
| 4 | 8 | | | 6 | | | | 5 |
| 2 | | | | | | | | 6 |
| 6 | | | | 9 | | | 8 | 7 |
| | 4 | | | 1 | | 9 | | |
| | 3 | | | | 4 | | | |
| | | 9 | 8 | | | 6 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 8 | 6 | | | | |
| 9 | | 4 | 3 | | | | 2 | 8 |
| | 8 | | | | | | | 3 |
| 8 | | | | | 3 | | 4 | |
| 4 | | | 9 | 2 | 8 | | | 1 |
| | 1 | | 7 | | | | | 2 |
| 7 | | | | | | | 8 | |
| 1 | 4 | | | | 9 | 6 | | 5 |
| | | | | 8 | 1 | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 | 3 | | | 8 | | |
| | 7 | | | | 6 | | | 5 |
| 6 | | | 7 | | | | 2 | |
| 2 | 8 | | | | | 5 | | |
| 5 | 4 | | | | | | 9 | 7 |
| | | 7 | | | | | 8 | 2 |
| | 5 | | | | 3 | | | 1 |
| 7 | | | 4 | | | | 3 | |
| | | 9 | | | 1 | 4 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 4 | 5 | | | | | |
| 3 | 2 | | | 9 | 6 | | 4 | 1 |
| | | 8 | | 4 | | | 7 | |
| | | | | | | 7 | | |
| 9 | | | | 3 | | | | 4 |
| | | 1 | | | | | | |
| | 6 | | | 2 | | 4 | | |
| 8 | 3 | | 4 | 7 | | | 5 | 6 |
| | | | | | 5 | 2 | 8 | 7 |

# ყველაზე უცნაური ფობიები





ცოტა ხნის წინ ბრიტანულმა „ტელეგრაფმა“ ყველაზე უცნაური ფობიების ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ერთ-ერთი მათგანი **ქსანტოფობიაა** — შიში ყვითელი ფერის მიმართ. ადამიანებს, ვისაც ასეთი ფობია სჭირს, ეშინიათ ყვითელი ფერის ნებისმიერი ობიექტის, მათ შორის, მზის, ნარცისებისა და ყვითელი საღებავისაც. ქსანტოფობიის აგრესიული ფორმის განვითარების შემთხვევაში, ადამიანს შეიძლება სიტყვა ყვითელის ხსენებაზეც კი შეეშინდეს.

**ტუროფობია** — ყველის მიმართ შიშია. ადამიანებისთვის, ვისაც ასეთი შიში აწუხებს, ყველი, როგორც წესი, რაიმე ტრავმატულ მომენტთან ასოცირდება. არ აქვს მნიშვნელობა, რა ყველია — მოცარელა თუ ჩედერი — ტუროფობები თავპირისმტვრევით გარბიან, მისი პატარა ნაჭერიც რომ სადმე დაინახონ. ზოგიერთები კი მხოლოდ განსაზღვრული სახეობის ყველს უფრთხიან.

**სომნიფობია** — დაძინების შიშია. ასეთ ადამიანებს ძილის იმიტომ ეშინიათ, რომ მათთვის ის სიკვდილთან ასოცირდება. ფობია შეიძლება წარმოიშვას ასევე იმის შიშით, რომ ძილში კონტროლს დაკარგავენ საკუთარ თავზე, ანდა ხშირი კოშმარების გამო უფრთხიან დაძინებას. ზოგჯერ სომნიფობებს იმის შიშიც აქვთ, რომ ძილში დროს ტყუილად დაკარგავენ.

**კოულროფობია** — ჯამბაზების მიმართ შიშია და საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. უამრავი კვლევის მიხედვით, ასეთი ფობია, ძირითადად, ბავშვებს აქვთ, თუმცა ზრდასრულებსაც აწუხებთ, მათ შორის ცნობილ ადამიანებს — ჯონი დეპსა და დენიელ რედკლიფს.

**ხილოფობია** — ხეების მიმართ შიშია. ის ხშირად მას შემდეგ ჩნდება, რაც ბავშვი ზღაპარს მოისმენს ან ფილმს უყურებს, რომელშიც ტყე საშიშია, ხე კი — ბოროტი. ბევრი პატარა ხილოფობი ზრდასრულ ასაკშიც ვერ ახერხებს ამ ფობიისგან თავის დაღწევას.

**ნომოფობია** — შედარებით თანამედროვე დაავადებაა და მობილურ კავშირს უკავშირდება. ის მეცნიერებმა სულ რაღაც ხუთი წლის წინ აღმოაჩინეს. ახალი გამოკვლევების თანახმად, ნომოფობია სჭირს გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს. ადამიანებს ეშინიათ, არ მოხვდნენ ისეთ ზონაში, სადაც არ არის ფიჭური კავშირი, არ არის სიგნალი. ანდა ეშინიათ, რომ ტელეფონის ელემენტი დაუჯდებათ. ასეთი ადამიანები ვერ ისვენებენ, თუკი მობილური ტელეფონი თვალთახედვის არეში არ აქვთ.

**ომბროფობია** — წვიმის შიშია. ომბროფობებისთვის ჩვეულებრივი წვიმა შეიძლება პანიკის მიზეზად იქცეს. ვარაუდობენ, რომ წვიმის მიმართ შიში რამდენიმე მიზეზით შეიძლება ჩამოყალიბდეს. მაგალითად, როცა ბავშვებს წვიმაში გასვლას უკრძალავენ, გაცივდები და ავად გახდებიო; გარდა ამისა, წვიმა ხშირად დეპრესიასთან ასოცირდება.

**ურანოფობია** — ცის შიშია და ამ დროს ადამიანებს ცისა და იმქვეყნიური ცხოვრების ეშინიათ. ასეთი შიში ხშირად მორწმუნეებში ჩნდება, რომელთაც განკითხვის ჟამის ეშინიათ.

**ტრიპოფობია** — ხვრელის შიშია, თუმცა ის ჯერჯერობით, ოფიციალურად არ შეუტანიათ ჩამონათვალში, თუმცა ამ სენით ათასობით ადამიანია დაავადებული. ტრიპოფობებისთვის ნახვრეტები საფრთხესთან ასოცირდება. მათ ეშინიათ თაფლის ფიჭის, საყოფაცხოვრებო ღრუბლების, მცენარეების...

**ტრისკაიდეკაფობია** — რიცხვი 13-ის შიშია. ბევრ ადამიანს სჯერა ცრურწმენის, თუმცა ყველა ნამდვილად არ არის ამ ფობიით შეპყრობილი. ეს შიში მჭიდროდ უკავშირდება პარასკევ დღესა და 13 რიცხვს.





## რეკორდსმენი გისოსებსმიღმა აღმოჩნდა

ბრიტანელი პატრიკ რაიანი ციხის კედლებში გამომწყვდეული აღმოჩნდა, არადა, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ იგი გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრილიყო — მის მიერ დამყარებული გასაოცარი რეკორდის გამო. თავად განსაჯეთ: ქალაქ ბლექპულის მცხოვრებმა რაიანმა 422-ჯერ ისადილა და ივახშმა ინგლისის რესტორებში და იქ ერთი გირვანქაც არ დაუხარჯავს, რასაც პოლიციის ოქმებიც ადასტურებს. თაღლითი ბრიტანელ სამართალდამცავებს დიდი მრავალფეროვნებით არ ანებივრებდა: „გადაგდება“ ყოველთვის ერთი და იგივე სქემით ხდებოდა — გარანტიის სახით, მაგიდაზე დესერტს ტოვებდა, ოფიციანტს აფრთხილებდა, რომ მოსაწევად გადიოდა და ქრებოდა. ის ერთ-ერთი მორიგი უფასო ვახშმის შემდეგ აიყვანეს. 52 გირვანქა სტერლინგის გადახდას მან კვლავ გაქცევა ამჯობინა, თუმცა იტალიური სამზარეულოს კერძებს მან ძვირადღირებული ღვინო დააყოლა და, როგორც ჩანს, ამან მოადუნა. უნდა აღინიშნოს, რომ პატრიკ რაიანისთვის სასჯელი მაინცდამაინც მკაცრი არ აღმოჩნდა: სასამართლომ მას მხოლოდ 12-კვირიანი ციხის უფასო კერძები არგუნა.

## გერმანიაში უცნობი ქველმოქმედი გამოჩნდა



საქსონიის ქალაქი ბრაუნშვეიგი აფორიაქებულია უცნობი ქველმოქმედის გამოჩენით, რომელიც გაჭირვებულებს სახლის კართან კონვერტს უტოვებს რამდენიმე ათასი ევროთი. გაცემულმა თანხამ, როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, ჯამში, 180 ათასი ევრო შეადგინა. ადამიანები ხელმოუწერელ კონვერტებს საკუთარ საფოსტო ყუთში ან სახლის კართან პოულობენ, ასეთივე ძღვენი აღმოაჩინეს ეკლესიაში, სკამებს შუა. როგორც ჩანს, „კეთილმა სამარიტელმა“, როგორც მას უწოდეს, იცის გერმანული კანონები. მის საჩუქარს არც ერთხელ არ გადაუჭარბებია 10 ათასი ევროსთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმღებს მოგების გადასახადი ეკისრება). ეტყობა, ქველმოქმედი ადგილობრივი გაზეთის მკითხველიცაა, რადგან ბევრი გაჭირვებულის შესახებ სწორედ ამ გაზეთმა დაწერა. ქველმოქმედის პირველი ადრესატი ადგილობრივი იყო, რომელიც დააყაჩაღეს და რამდენიმე ათასი წაართვეს. მერე „სამარიტელი“ უსახლკაროთა სამზარეულოს დაეხმარა, მძიმე ავადმყოფი ბავშვის ოჯახს, მუზეუმს, მოხუცთა თავშესაფარს... ამ ადამიანის ვინაობის დადგენა ბრაუნშვეიგელების განსჯის საგანია.



1. ერთი ადამიანის სულის „გადასახლება“ ახალ სხეულში
2. საყანედ გაკაფული ტყე
3. უსინათლო ანუ ...
4. სახალხო პოეტი-მომღერალი შუა აზიაში
5. შრი-ლანკას ძვ. სახელწოდება
6. დინოზავრების ოჯახის უზარმაზარი განათხარი ქვეწარმავალი
7. მუხის ნაყოფი
8. ლომი სიმბას ცოლი
9. გიგანტური ტალღები ოკეანეში
10. კენ-კროვანი კულტურა
11. მზის ჩასვლა
12. ბადრიჯნის კერძი
13. ახალი წელი გურიაში
14. ზღაპრული შინაარსის იგავი
15. ქალაქი ყირგიზეთში
16. ინდური ფილოსოფ. მოძღვრება
17. ალ. ბუვიეს რომანი
18. აშშ-ის პრეზიდენტი
19. ისტორიის მუზა
20. ჰელიოსის ვაჟი
21. ქალის კაბის გრძელი უკანა კალთა
22. მსახიობი ... ჟირარდო
23. შენობაში ამოყვანილი ღია აივანი
24. ცისკარას სატრფო
25. ფეხბ. ... კოშტა
26. სცენის გასანათებელი პროჟექტორი
27. პოპულარული სალათი
28. ფრანგი მწერალი
29. ხვიარა მცენარე
30. უწვერულვაშო მამაკაცი
31. ოდისევსის და პენელოპეს ვაჟი
32. კურორტი მარტვილის რაიონში
33. საშიში ინფექციური დაავადება
34. შტირლიცის სახელი
35. გემის ბოლო
36. მახრჩობელა გველი
37. ინგლისელი მწერალი
38. ფილმი „გაიქეცი, ..., გაიქეცი!“
39. წყლის მცენარე
40. მწერ. ... გრინი
41. კიმ ჩენ ირის სამშობლო
42. ლონდონის საფეხბ. კლუბი
43. ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი
44. კუს სახელი „ოქროს გასაღებში“
45. ზოლებიანი ცხოველი
46. აქტიური სწავლების მეთოდი
47. კუკარაჩას ცოლის სახელი
48. ამერ. მსახიობი კრის ...
49. ბილიარდის ჯოხი
50. შესვენება კალათბურთში ანუ ...-აუტი
51. ირლანდიური საცეკვაო შოუ
52. იაპონური თეატრის სახეობა
53. მდინარე თბილისში
54. მომკილი თავთავის კონა
55. კერძო სასოფლო-სამეურნეო საწარმო
56. ადამიანის სამეტყველო ორგანო
57. პლანეტა იუპიტერი ძვ. ქართ.
58. განური ფეხბურთის ვარსკვლავი
59. ვიეტნამის დედაქალაქი
60. არტურ ... დოილი
61. თევზსაჭერი მოწყობილობა
62. მესამე პირის ნაცვალსახელი
63. სუმოს საჭიდაო არენა
64. ანტიკური კავალერია








ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.